ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

19 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა სამტომეულის
მეორე
ტომი
8 ლარი




ოთხშაბათი, 20 თებერვალი, 2013 №42 (6043) ფასი: 30 თეთრი

# ია მეტრეველი: „მერამდენედ უნდა მომიკლათ შვილი!“



გვ.3



ვინ და რატომ მალავდა ბუტა რობაქიძის მკვლელობის კადრებს

## მაია ფანჯიკიძე: „აზიზიეს მეჩეთი არ აშენდება“

გვ.4



# დეპუტატებს იმპოტენცია ემუქრებათ?!

გვ.2

## ლაშა პაპაშვილი: „ბიზნესში თავისუფლებაა და შიში აღარ არსებობს“

გვ.3





გვ.2

## ივანიშვილმა ახალი ბიზნეს ომბუდსმენი დაასახელა



### ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა ნაციონალები დატოვა

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა, ფრაქციის დატოვების შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა.

ხაჩირაშვილის განცხადებით, ის საკრებულოში დამოუკიდებელ დეპუტატად დარჩება, ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება კი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შეხედულებების თანხვედრის არარსებობის გამო მიიღო.

„ყველა ადამიანი გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფალია. მეც დავტოვე „ნაციონალური მოძრაობა“ და ამავდროულად – ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობაც. საკრებულოში მუშაობას კი რიგითი დეპუტატის სტატუსით გავაგრძელებ.

ჩემს ყოფილ გუნდთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს, იქ ბევრი კარგი ადამიანი მუშაობს და მახსოვს, ბევრი როგორც წარმატებული, ასევე წარუმატებელი დღეც, თუმცა მაშინ ჩვენს შორის შეხედულებების თანხვედრა იყო. დღეს ეს თანხვედრა აღარაა და მეც აღარ ვაპირებ კატათაგვობანას თამაშს“ – განაცხადა ხაჩირაშვილმა.

მისივე განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას არავითარი სხვა გარემოება – მათ შორის „ქართული ოცნების“ მხრიდან ზეწოლის ფაქტები არ ყოფილა.

ნიუსპრესი

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 1
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი




9 771987 938006

6 დღეს ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძის და ზურაბ შამათავას წინასასამართლო სხდომა გაიმართება

5 დაჭრილი სამხედროებისთვის რეაბილიტაციისა და პროთეზირების ცენტრი შეიქმნა

6 გია ხუხაშვილი „საქართველოს რკინიგზის“ გენდირექტორის კონსულტანტად დაინიშნა

5 მამუკა გიორგაძე: „სააკაშვილმა დიდი რაოდენობით თურქები შემოიყვანა“

# დეპუტატებს იმპოტენცია ემუქრებათ?!

მერი ნამორაძე



**ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე" პარლამენტართა ჯანმრთელობის შესაძლო გაუარესებით ერთობ შეშფოთებულია. საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ რამდენიმე თვის წინ ასოციაციამ პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა იმის თაობაზე, რომ ახლად აშენებული პარლამენტის შენობა არ იყო შემოწმებული სეისმური და ეკოლოგიური უსაფრთხოებაზე. ამასთან ასოციაციამ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, მეცნიერების სამსახური შესთავაზა საკანონმდებლო ორგანოს წევრებს შენობის შესამოწმებლად. როგორც ჩანს, პარლამენტში მაინცდამაინც სერიოზულად ეს საფრთხე არ აღიქვეს, რადგან ასოციაციას შეთავაზებაზე პასუხი დღემდე არ მიუღია. ასოციაციის ხელმძღვანელმა ანზორ საკანდელიძემ „ახალ თაობასთან" საუბრისას აღნიშნა:**

— შეგვეძლო ამ შენობის სეისმური და სამშენებლო-ეკოლოგიური, განსაკუთრებით კი როდონის უსაფრთხოებისათვის ლაბორატორიული კვლევების ჩატარება. ვთავაზობდით არა მარტო კვლევების ჩატარებას, არამედ შედეგების გაანალიზებით შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავებას და რეალიზაციას, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

როგორც ასოციაციამ „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე" გაარკვია, პარლამენტში სხვა ფირმა შეიყვანეს კვლევის ჩასატარებლად. თუმცა, კონკრეტულად როდონზე კვლევა არ ჩატარებულა. საკანდელიძე ირწმუნება, რომ იქ ისეთი გართულებული მდგომარეობაა, ერთჯერადი, ხანმოკლე შემოწმებით ვერაფერი გაირკვევა. საჭიროა ხანგრძლივი დაკვირვების წარმოება. ჩვენთან საუბრისას საკანდელიძემ პარლამენტის წევრ გიორგი გაჩეჩილაძის სატელევიზიო ინტერვიუ გაიხსენა, სადაც ის აცხადებდა, რომ პარლამენტის შენობაში დისკომფორტს კვლავ განიცდის მომსახურე პერსონალი, დამლაგებლებიც ცუდად გრძნობენ თავს.

— პარლამენტარები, რადგან შედარებით ნაკლები დროის გატარება უწევთ იქ, დისკომფორტს იმდენად არ გრძნობენ. დამხმარე პერსონალი უფრო გრძნობს დისკომფორტს და ამას მხედველობაში უნდა მიღება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შევხვდი მშენებლობის ყოფილ მინისტრს და ყოფილ მინისტრის მოადგილეს, ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს და ომარ კიკნაძეს. მათ მომაწოდეს შემაშფოთებელი ინფორმაცია. ბატონმა ნოდარმა ბრძანა, რომ ჩემი მინისტრობის დროს, წყალტუბოში, სადაც როდონია, სამკურნალო წყლებთან მომუშავე მამაკაცები ავადდებოდნენ იმპოტენციით. გასული საუკუნის 70-იან წლებში ტყვარჩელში ერთ-ერთი გვირაბის გაყვანის დროს, ასევე იმპოტენციით დაავადდა მუშების გარკვეული ნაწილი. ისეთ დონეზე იყო საქმე მისული, გაფიცვასავით გამოაცხადეს და აღარ შედიოდნენ იმ გვირაბში სამუშაოდ. ის გვირაბი მერე ჩვენ გავაუქმეთო. ამას უნდა ჩაღრმავება. სულ რაღაც 3-4 კილომეტრში წყალტუბოდან, იმ წყლების თავზეა დახურული, დახშული პარლამენტის შენობა და მეტი ყურადღება უნდა. არ ვიცი, რა დასკვნები დადეს, მაგრამ ჩანს, რომ როდონის ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე იქ კვლევები საერთოდ არ ჩატარებულა. ცოცხალ ორგანიზმებზე წლიური რადიაციული დასხივების 75 პროცენტი სწორედ როდონზე მოდის, რომელიც იწვევს უმძიმეს სიმსივნურ და ლეიკოზურ დაავადებებს. ამიტომ არ შეიძლება ასეთი რისკის ქვეშ დავაყენოთ იქ მომსახურე პერსონალი, — გვითხრა ანზორ საკანდელიძემ.

ჩვენ ასოციაციის ხელმძღვანელს კომენტარი ქვეყნის სამშენებლო ბიზნესში არსებულ მდგომარეობაზე ვთხოვეთ. საკანდელიძემ აღნიშნა, რომ ძველი სამშენებლო ფირმები მეტ-ნაკლებად გაკოტრებულები არიან. შემოდიან ახალი ფირმები, მაგრამ ისინი მოლოდინის რეჟიმში არიან. გადასახედია საგადასახადო კოდექსი, რადგან დღევანდელი საგადასახადო კოდექსით მუშაობა თავისუფალ ბაზარზე შეუძლებელია.

— საგადასახადო ტვირთი მშენებლებისათვის ძალიან მაღალია. თუ არ გადაიხედება საგადასახადო კოდექსი, გაუჭირდება სამშენებლო ბიზნესს. ეს ბიზნესი კეთდებოდა სახელისუფლებო კლანებისათვის და დარგიც იმიტომ იყო წარმატებული, რომ გადასახადებს მალავდნენ და არ იხდიდნენ. ვინც მათთან კონკურენციაში შედიოდა და გადასახადებს პატიოსნად გადაიხდიდა, მას ემუქრებოდა გაკოტრება. დღეს, როცა იწყება თავისუფალი ბიზნესი, აუცილებლად დადგება საგადასახადო კოდექსის შეცვლის საკითხი. დღევანდელი კოდექსით თეთრი ბიზნესის წარმოება ძალიან გართულებული და თითქმის შეუძლებელია. თუ „ჩრდილში" არ გადახვედი და ბიზნესის დიდი ნაწილი არ დამალე, ვერ გადაურჩები გაკოტრებას, — გვითხრა საკანდელიძემ.

ამ პროცესებს მოჰყვა ქვეყანაში ბინების გაძვირებაც. თუ მეწარმე სამართლიანად გადაიხდიდა, მოგება აღარ რჩებოდა, ამიტომ უნდა გაეზარდა ფასი:

— ჩვენ ათი წელია ვიძახით, ხალხმა კი ახლა გაიგო. რომ მსოფლიო ბანკი კარგა ხანია აფიქსირებდა საქართველოში 72 პროცენტიან ჩრდილოვან ეკონომიკას. ამას სჭირდება სხვაგვარი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება და პირველ რიგში, სხვანაირი საგადასახადო კოდექსი, — აღნიშნა ასოციაციის ხელმძღვანელმა.

ასოციაციის წევრები მიიჩნევენ, რომ სამშენებლო ბიზნესში ნორმატიული ბაზის თვალსაზრისითაც ბევრი რამ გაურკვეველია. მომზადებულ სამშენებლო კოდექსს უვარგისი უწოდა საკანდელიძემ. მისი თქმით, პროფესიონალი მშენებლები, ასოციაციის წევრები თუ არაწევრები ერთხმად იწუნებენ კოდექსს და მის მიღებას წარმოუდგენლად მიიჩნევენ. საკანდელიძე კვლავ ახსენებს ხელისუფლებას, რომ აუცილებელია მშენებლობის სამინისტროს აღდგენა. პროფესიონალი მშენებლები რამდენიმე ვარიანტს სთავაზობენ ხელისუფლებას:

— ჩვენ ახლა დროს ვკარგავთ, თორემ ეს სამინისტრო აუცილებლად შეიქმნება. სხვაგვარად ისევე ჩამკვდარი იქნება სამშენებლო ბიზნესი, როგორც დღეს არის, — გვითხრა ბატონმა ანზორმა.

ასოციაციამ „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე" ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს საკუთარი მოსაზრებები უკვე წარუდგინა და ფიქრობენ, რომ დიალოგის პროცესი ადგილიდან დაიძრა და ინფორმაცია პრემიერ-მინისტრამდეც მივა.

# ივანიშვილმა ახალი ბიზნეს ომბუდსმენი დაასახელა

ნათია ხურცილავა



პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ბიზნესმენებთან რიგით მეორე შეხვედრა გამართა, რომელსაც საქმიან და მუშა შეხვედრად აფასებს. მისი განცხადებით ბიზნესმენებთან მეორე შეხვედრა სრულიად განსხვავებული იყო. პირველს კი ძალიან ემოციურს უწოდებს ორივე მხრიდან.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბიზნესმენებთან შეხვედრაზე მან რამდენიმე პიროვნებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა იმაზე, რომ კერძო ბიზნესში ჩარევას ვერავინ გაბედავს.

აღნიშნული განცხადება ივანიშვილმა ბიზნესსექტორთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან გააკეთა.

როგორც ივანიშვილმა განმარტა, ვერავინ გაბედავს ბიზნესში ჩარევას და აღარანაირი გადანაწილებები აღარ მოხდება.

— მთავრობის ნებისმიერ ჩინოვნიკს არ ექნება უფლება, კანონის გარეშე კერძო ბიზნესში ჩარევის. მე მგონია, რომ მოკლე დროში ეს ბიზნესმენებმა კარგად გააცნობიერეს, მომავალში ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო საქმიანი და ნაკლებად ემოციური გახდება, მე ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი შეხვედრით, კარგად იგრძნობოდა, რომ მოკლე დროში ბიზნესმენებმა ახალი მთავრობის დაიჯერეს. ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ საქართველოში ეკონომიკის აღორძინებას, რამეთუ ეკონომიკაში გადამწყვეტი როლი ბიზნესმენებს და ინვესტიციებს ეკუთნის, რომლებსაც ისინი ახორციელებენ. — განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც მოგვიანებით პრემიერმა გვითხრა, შეხვედრაზე განსაკუთრებული შეკითხვები არ ყოფილა, იყო სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური შეკითხვები, თუ როგორ დავეხმაროთ ბიზნესმენებს, საგადასახადოსთან დაკავშირებით.

პრემიერის თქმით, მან ისაუბრა იმ ფონდებზე, რომლის დაფუძნებაცაა დაგეგმილი.

— ამ საინვესტიციო ფონდებს ბიზნესმენები ელოდებიან და მათზე კონკრეტულ გათვლებს აკეთებენ. — დასძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ბიზნესომბუდსმენთან შეიქმნება ჯგუფი, რომელიც მასთან შესულ შეკითხვებს დაახარისხებს.

ივანიშვილმა ბიზნესმენებს ბიზნეს ომბუდსმენად გიორგი გახარია წარუდგინა, თუმცა როგორც პრემიერმა განმარტა, ბიზნეს ომბუდსმენს შესაძლოა, სახელიც შეეცვალოს.

— ერთი კვირის განმავლობაში მას ბიზნესმენებთან ექნება ურთიერთობა, თუ როგორი სახელი და ფუნქციები მივცეთ. მთავარი იდეა არის იმაში, რომ ბიზნესს ჰქონდეს საშუალება, მოკლე დროში ინფორმაციის მოტანის. ბიზნეს ომბუდსმენის უკან იქნება ჯგუფი, რომელიც შემოსულ შეკითხვებს დაახარისხებს და ვფიქრობ, რომ უახლოეს დროში ბიზნესმენებთან ახლო თანამშრომლობას მოვახერხებთ. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, შეხვედრაზე ჩანდა, რომ ბიზნესმენებმა ახალი ხელისუფლების იდეოლოგია დაიჯერეს და მათ მხრიდან დიდი ნდობა იგრძნობოდა.

პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ბიზნესმენებთან შეხვედრით კმაყოფილია, მისი შეფასებით, როგორც აღვნიშნეთ, ბიზნესმენებთან პირველ და დღევანდელ შეხვედრას შორის ძალიან დიდი განსხვავება იყო.

— მათთან პირველი შეხვედრა იყო ძალიან ემოციური, დღევანდელი კი ხარისხობრივად განსხვავებული იყო, ემოციების ნაცვლად მათ ძალიან საქმიანი შეკითხვები ჰქონდათ, პასუხებიც იყო ადეკვატური. ჩანდა, რომ ბიზნესმენებმა ახალი ხელისუფლების იდეოლოგიის დაიჯერეს და უკვე იგრძნობოდა დიდი ნდობა, რამდენადაც აღარ იყო ემოციურობა და თვითდაჯერებულობა სჭარბობდა, თუმცა კითხვები კიდევ არსებობს. ბიზნესს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ ნებისმიერ დროს, ძალიან მოკლე ვადებში მათ ინფორმაცია უნდა მოვიდეს ჩვენამდე, პირადად ჩემამდე. მომავალში ჩვენი ურთიერთობა უფრო მეტად საქმიანი იქნება. — განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ ბიზნესმენებთან შემდგომი შეხვედრაც დაიგეგმა.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის იყო, კომუნიკაციის ნაკლებობაა.

ამის შესახებ კვირიკაშვილმა სასტუმრო „შერატონში" პერმიერ-მინისტრის ბიზნესმენებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

— ჩვენ ბიზნესმენებს პირობა მივეცით, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ იქნება მათთან კონსულტაციის გარეშე მიღებული. შეხვედრაზე ძირითადად საუბარი იყო იმაზე, რომ ბიზნესგარემო იყო პროგნოზირებული და მოულოდნელი გადაწყვეტილებები არ იქნეს მიღებული. კიდევ ბევრ საკითხზე ვიმსჯელეთ. მთლიანობაში კი საკმაოდ პროდუქტიული შეხვედრა გამოვიდა და ვფიქრობ, ასეთ ფორმატში მუშაობა და თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს. — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველო ყველა მეზობელ ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში იმყოფება, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს ცალკარას თამაშია.

ამის შესახებ კვირიკაშვილმა პრემიერ-მინისტრის ბიზნესმენებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტის იმ კითხვის კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმად, საქართველოში იმპორტი შეზღუდული არ არის, მაგრამ ქართველ ბიზნესმენებს ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებით ხშირად პრობლემები ექმნებათ.

— ეს არის უმწვავესი პრობლემა. საქართველო ყველა მეზობელ ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში იმყოფება, მაგრამ ხშირად, ასე ვთქვათ, ცალკარას თამაშია. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ბარიერების შექმნით ცდილობენ ქართული პროდუქციის ზოგიერთ ქვეყანაში შესვლა შეაფერხონ. ჩვენ ყველა ასეთ შემთხვევაზე ადეკვატური რეაქცია გვექნება. ამასთან, იმ პირობებში, როცა სახელმწიფო სოფლის მეურნეობას უპრეცედენტო დახმარებას უწევს, ამ საკითხის დაყენების გარეშე პროდუქციის სიჭარბე გვექნება, ამიტომ ადგილობრივ მეწარმეებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე გასვლის საშუალებაც უნდა ჰქონდეთ. — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, არაალკოჰოლური საქონლის ელექტრონული მარკირების შესახებ კანონში არ არსებობს იმ სასმელების ჩამონათვალი, რომელიც სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება.

ამის შესახებ ხადურმა ჟურნალისტებს არაალკოჰოლური სასმელების სავალდებულო მარკირების 1 მარტიდან ამოქმედების წესის კომენტირებისას განუცხადა და დასძინა, რომ 2012 წლის აპრილში ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება რეალურად ვერ ამოქმედდება.

ხადურმა ჟურნალისტებს აღნიშნული საკითხი განუმარტა და განაცხადა, რომ კანონში არ არსებობს იმ სასმელების ჩამონათვალი, რომელიც მარკირებას ექვემდებარება.

— არაალკოჰოლური საქონლის სავალდებულო მარკირების შესახებ ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომელიც გასული წლის აპრილში გამოიცა, ითვალისწინებს იმას, რომ ფინანსთა მინისტრმა გამოსცეს ახალი ბრძანება, რაც გამოცემული არ არის, შესაბამისად, არაფერი არც გადაიდება და არც ამოქმედება სჭირდება. მიმდინარეობს მუშაობა და კონსულტაციები მეწარმეებთან. ჩვენი ამოცანაა აღრიცხვიანობა ისე მოვაწესრიგოთ, რომ ხელოვნური ბარიერი არ შევქმნათ. ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში არ არსებობს ჩამონათვალი იმ საქონლისა, რომელიც ექვემდებარება მარკირებას, მაგალითად, არ არსებობს ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია, რომ წყლის მარკირება სავალდებულოა, ანუ ნორმა გამოიცა, მაგრამ ჩამონათვალი არ არსებობს, შესაბამისად, არ ამოქმედდება. — განმარტა ფინანსთა მინისტრმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანიას განცხადებით, ბიზნესმენებთან შეხვედრაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სამინისტროს მისამართით დაისვა, ადგილობრივი კადრების დასაქმება იყო.

ამის შესახებ ნარმანიამ პრემიერ-მინისტრის ბიზნესსექტორთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ხელისუფლების მხრიდან ბიზნესმენებს მიეწოდა ინფორმაცია და ასევე ბიზნესმენების მხრიდან დაისვა კონკრეტული საკითხები.

— ჩვენი კუთხით რამდენიმე საკითხი იყო მნიშვნელოვანი. პირველი ეს არის სხვადასხვა პროექტებში, მათ შორის დონორების მიერ მხარდაჭერილში ადგილობრივი კადრების დასაქმება. ჩვენ ამ კუთხით ვმუშაობთ და იყო რამდენიმე შემთხვევა, სადაც რეგულაციები იქნება დაწესებული და ადგილობრივების 70% დასაქმდება. მეორე საკითხი — ეს იყო საჯარო კერძო პარტნიორობის პროგრამა, ეს პროგრამა გრძელდება და მუშავდება სპეციალური კრიტერიუმები, როდესაც ბიზნესმენი ახორციელებს ამა თუ იმ სექტორში გარკვეულ პროექტს, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას საჯარო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა, გარდა ამისა, ჩვენს სამინისტროს აქვს შეხვედრები ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც გვექნება იმ საკითხებზე საუბარი, რომელზეც ამ მოკლევადიანი შეხვედრისას საუბარი ვერ მო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ია მეტრეველი: „მერამდენედ უნდა მომიკლათ შვილი“

## ვინ და რატომ მალავდა ბუტა რობაქიძის მკვლელობის კადრებს

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინდელი დღე ბუტა რობაქიძის მშობლებისთვის უმძიმესი იყო. „რუსთავი-2"-ის მიერ გავრცელებულმა კადრებმა მთელი საქართველო შოკში ჩააგდო. რობაქიძის მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა და დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის ყოფილმა უფროსმა ირაკლი ფირცხალავამ დღეს მთავარ პროკურატურაში მიიტანა ვიდეო-მასალა, სადაც ჩანს, თუ რა მოხდა დიდუბეში 2004 წელს, გიორგობის ღამეს და რა ვითარებაში გარდაიცვალა ბუტა რობაქიძე. სკანდალური ვიდეო მასალა კი დღესვე ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა გაავრცელა. ბუტა რობაქიძის მშობლები ამ ვიდეომასალას დამონტაჟებული ფაბრიკაცია უწოდებენ.**

ამ კადრების გავრცელებას საზოგადოებაში პროტესტი მოჰყვა. სოციალური ქსელებით ტელეკომპანიასთან საპროტესტო აქცია დაიგეგმა. ხალხის მრისხანება, ვერ ტელეკომპანიის გავრცელებულმა განცხადებამ ჩააქრო.

— ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ის 12:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გასული ვიდეო-მასალა ტელეკომპანიის მიერ მოპოვებული ექსკლუზიური ვიდეო-მასალა არ იყო. ეს კადრები რობაქიძის საქმეზე ბრალდებულმა ირაკლი ფირცხალავამ დღეს პროკურატურასთან მყოფ ყველა ტელეკომპანიის ჟურნალისტებს გადასცა. დაუმონტაჟებელი მასალა ჩვენ ,,კურიერის“ გამოშვების დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მივიღეთ და ფაქტობრივად, პირდაპირი ეთერის რეჟიმში მოგვიხდა მისი ჩვენება, თუმცა ჩვენ შეგნებულად, ირაკლი ფირცხლავას მიერ გავრცელებული მასალის მხოლოდ ფრაგმენტი ვაჩვენეთ, სადაც განსაკუთრებულად მძიმე კადრები დაფარული იყო. მასალის გავრცელებამდე ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, თუმცა კიდევ ერთხელ გვსურს, საზოგადოებას, განსაკუთრებით, ამირან რობაქიძის ოჯახს და მის ახლობლებს ბოდიში მოვუხადოთ ამ მძიმე კადრებისათვის. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ გადაწყვეტილება ვიდეო-მასალის ეთერში გაშვების შესახებ, ამ კონკრეტული საქმისადმი საზოგადოების განსაკუთრებულად მაღალი ინტერესიდან გამომდინარე მივიღეთ, — აღნიშნულია საბოდიში განცხადებაში.



ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი აცხადებს, რომ ,,რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული კადრები დამონტაჟებულია. შვილმკვდარი დედის თქმით, ეს არის მიზანმიმართული კამპანია, რომელსაც გურამ დონაძე ,,რუსთავი 2“-ის მეშვეობით ახორციელებს, როგორც ამას 9 წლის წინ აკეთებდა.

— ამდენი წელი ჰქონდათ თურმე ეს კადრები და ახლა გამოაჩინეს. 9 წელი სააკაშვილის პერიოდში სად იყვნენ? როდესაც ბავშვები დაიჭირეს, აიძულებდნენ, რომ ეღიარებინათ თითქოს ერთი იარაღი მაინც ედოთ, 9 თვე ციხეში ჰყავდათ და მერე გამოუშვეს, ბავშვების აღიარება სწორედ იმისთვის სჭირდებოდათ რომ საკუთარი მკვლელობა გაემართლებინათ. მე არ ვიცი ეს ვინ უნდა დაიჯეროს. ჩემთვის აღმაშფოთებელი ის არის, დამნაშავეები ციხეში რომ იჯდნენ, იმის მაგივრად ისევ ბედავენ ამდენს. დონაძის დროა კიდევ, რომ დონაძე ამდენს ბედავდეს, კიდევ უნდა დამცინოდეს? მერამდენედ უნდა გამომიტანოს გაანჩენი? მერამდენედ უნდა მომკლან ჩემ შვილთან ერთად, მაინტერესებს? ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს, არც ,,რუსთავი 2“-ს, რა აზრი მქონდა ამ კადრების გავრცელებაზე. ჟურნალისტისგან გავიგე, რომ ეს კადრები აჩვენეს. ,,რუსთავი 2“-მა გაავრცელა პირველად სწორედ ის, რომ ბანდიტი იყო ჩემი 19 წლის შვილი. ასევე, ,,რუსთავი 2“-მა ანახა საზოგადოებას იარაღების ჩადება და პროპაგანდა სწორედ ამ არხმა გადმოსცა, დღესაც ისევ ,,რუსთავი 2“-ს მიმართა დონაძემ და გაავრცელა მათი მეშვეობით ეს შემზარავი კადრები. ამიტომ, პასუხი უნდა აგოს ყველამ მეორედ ამ საშინელების გაკეთებისთვის, თითქოს ჩვენს ოჯახს არ ეყოფა ის საშინელება, რაც გვიქნეს და კიდევ ამხელა შეურაცხყოფას გვაყენებენ. ეს არის სრული სიცრუე და ჩვენი მოწმე ისაუბრებს ამ კადრებზე და ყველაფერს ნათელს მოჰფენს, რადგან არანაირი იარაღი იქ არ ყოფილა, თავად ჩადეს და მერე გადაიღეს. სწორედ ამის პროპაგანდას ახდენენ ახლა და მერამდენედ მიკლავენ შვილს, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ბუტა რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა.

ბუტა რობაქიძის მამის სოსო რობაქიძის განცხადებით, კრიმინალური პოლიციის შეფი ირაკლი ფირცხალავა მასთან იყო მისული და პირადად აცნობა, რომ მკვლელობის დროს იარაღი ბიჭებს არ ჰქონდათ.

— მე იმ ბიჭებს არ ვიცნობდი, ბუტა კი იცნობდა მხოლოდ ირაკლის, ხოლო ქურდაძის ოჯახში გაიცნო დანარჩენები. რაც შეეხება ირაკლი ფირცხალავას, ის არის სასოწარკვეთილი კაცი. რა აჩვენა საკუთარ შვილს, რომ ბუტა რობაქიძე ტყუილა მოკლეს? აუხსნას საკუთარ 21 წლის ბიჭს და საკუთარ თავს, რატომ არის 19 წლის ჩემი ერთადერთი შვილი მკვდარი. ფირცხალავა იმყოფებოდა ჩემთან ოჯახში. მე მისი გაცნობა არ მინდოდა, რადგან ის არა მარტო ბუტას, არამედ ვაზაგაშვილის საქმეშიც არის მხილებული. ის ჩემთან თავს იმართლებდა და თქვა, რომ იქ იარაღი არავის არ ჰქონია და პატრულს მოკითხონ, თუ ვინ მიიტანა იარაღი. დღეს დავა მიდის კრიმინალურ პოლიციასა და პატრულს შორის. ზურა მიქაძე აცხადებდა, რომ ბუტა მჭიდს აკეთებდა და ბაშალეიშვილმა ამ დროს ესროლა. ეს კადრები მაჩვენონ. დღეს რაც გაავრცელეს, რატომ 9 წლის წინ არ გამოიტანეს სააშკარაოზე? მე თავად ვითხოვდი ამას. ვთვლი რომ ეს კადრები გაყალბებულია, რატომ სასამართლოში არ გამოიყენეს? ეს შემთხვევითი გასროლა არ იყო. ბუტა ბაშალეიშვილმა მოკლა. მაქვს მისი ჩვენება, სადაც ამბობს, რომ დამიზნებით ესწოლა. გარდა ამისა, არ არის მხოლოდ ის იარაღები, რაც ამ კადრებში ჩანს. იქ არის უამრავი იარაღი ლიმონკის ჩათვლით. სად არის ეს იარაღები. თუ დამიმტკიცებენ, თუ რატომ იყო მოსაკლავი ჩემი შვილი, გეფიცებით არც ვიტირებ. არ მინდოდა ირაკლი ფირცხალავასთვის ხელი დამედო, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ბოლომდეა ჩართული. თუ ეს კადრები სიმართლეა, მას შეეძლო პირველად ჩემთვის ეჩვენებინა. სამართლის წინაშეც აგრებს პასუხს და ჩემს წინაშეც. ნეტა ეს კადრები არ მენახა, გამაბოროტეს, ბავშვი სუნთქავს და არავინ ეხმარება. არ მინდა ამ მთავრობას ვუჩივლო, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს და თუ არ გაირკვა სიმართლე, სტრასბურგამდე მივალ, — აცხადებს სოსო რობაქიძე.

ამ შემზარავ კადრებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილი უფროსის გურამ დონაძეც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, საზოგადოებამ დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის ყოფილი უფროსის ირაკლი ფირცხალავას მიერ გავრცელებული კადრებიდან ნახა, თუ რა მოხდა 2004 წლის 24 მაისს.

— მე დღეიდან მკვლელი არ ვარ და ეს დავამტკიცე, — აღნიშნა დონაძემ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, შემთხვევის ადგილზე გადაღებული სრული ვიდეომასალა მას ნანახი არ ჰქონდა.

— მე არ მევალებოდა სრული ვიდეომასალის ნახვა, მე ვნახე ის, რაც მოამზადა ჟურნალისტმა. მუკბანიანი, რომელიც ამბობს, რომ თითქოს მე მას ზეწოლის ქვეშ ვამყოფებდი, ეს არის სიყალბე, იქიდან გამომდინარე, რომ პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში ნახსენები აქვს, თითქოს დაკითხვაზე მიიყვანა ჩემმა მძღოლმა. დაკითხვაზე მუკბანიანი 2005 წელს იმყოფებოდა, მძღოლმა კი, რომელსაც ის ასახელებს, ჩემთან მუშაობა 2007 წელს დაიწყო. მუკბანიანი ვალდებული იყო ჩემთვის მოეყოლა შემთხვევის დეტალები, თუმცა არ ვიცი, შემთხვევის ადგილას, სადაც მუკბანიანი მთელი ღამე მორიგეობდა, ვის რას მოელაპარაკა, ეს ყველაფერი პროკურატურამ უნდა გაარკვიოს, — განაცხადა გურამ დონაძემ.

გუშინვე დონაძემ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ გამოძიების ფარგლებში გამოირიცხება ის სიყალბეები, რაც აქამდე ფიგურირებდა.

საქართველოს მთავარი პროკურატურა ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით გავრცელებული ვიდეომასალის ავთენტურობას დაადგენს.

როგორც ტელეკომპანია ,,იმედთან“ სატელეფონო საუბარში საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, აღნიშნული ვიდეომასალის შესახებ აქამდე მათთვის ცნობილი არ ყოფილა.

— უპირველეს ყოვლისა, ვიდეომასალის ნამდვილობას დავადგენთ, ხოლო თუ ის ნამდვილი აღმოჩნდება, შემდგომ შევადარებთ ჩვენი გამოძიების შედეგად დადგენილ ფაქტებს. თუ აც-



დენაა გამოძიებაში, მოხდება ამ ვიდეომასალის გათვალისწინებით შესაბამისობაში მოყვანა და ზოგადად ეს ვიდეომასალა საშუალებას მოგვცემს, რომ ჭეშმარიტება დადგინდეს, რაც ჩვენი მიზანიცაა, — აცხადებს კბილაშვილი.

მისი თქმით, ისინი საგამოძიებო მოქმედებას დაუყოვნებლივ განახორციელებენ, თუმცა იმის პროგნოზირება ექსპერტიზა რამდენ ხანში დაადგენს ვიდეომასალის ავთენტურობას, ახლა გაუჭირდება.

— ჩვენ ძალღონეს არ დავიშურებთ, რომ ეს გზა სწრაფად იყოს გავლილი. წინასწარ ვერანაირ პროგნოზს ვერ გავაკეთებ, გარდა იმისა, რომ მოხდება შედარება და ზუსტად ის ითქმება, რაც დადგინდება. თუ გამოირკვევა, რომ ცრუ ჩვენებაა მიცემული, ერთიდან ათის ჩათვლით ყველას, ვინც ეს გააკეთა, გამოვამჟღავნებთ. მთავარი აქ ის არის, რომ ამ პროცესმა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, ამ თემის, კარგი გაგებით, გამწვავებამ, შედეგად მოიტანა ის, რომ სადღაც მიმალული ვიდეომასალები უკვე დღის სინათლეზე გამოჩნდა. ის არის აქ მნიშვნელოვანი, რომ ამ გამწვავებამ სიმართლისკენ უფრო დიდ ნაბიჯებით წაგვწია წინ. რა შედეგიც დადგება, ვისი პასუხისმგებლობაც მას მოჰყვება ზუსტად ის დაისჯება და ის იქნება პასუხისგებაში მიცემული, — აღნიშნავს კბილაშვილი.

ეს საქმე ასე მარტივად არ დასრულდება. ამ კადრებით ვის რისი დამტკიცება სურს ვერ გეტყვით. ისე კი საეჭვოდ გავრცელებული კადრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბუტა სისხლისგან დაიცალა. მისი შველა და გადარჩენა არავის უცდია.

ვნახოთ რას გამოიძიებს მთავარი პროკურატურა. აქ გასარკვევი ბევრი რამ არის. მაგალითად ვინ და რატომ ინახავდა ამ კადრებს. გასარკვევია ისიც, რატომ მაინცდამაინც ახლა გამოიტანეს ეს შემზარავი კადრები სამზეოზე.

## ივანიშვილმა ახალი ბიზნეს ომბუდსმენი დაასახელა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ხერხდა. — განაცხადა ნარმანიამ.

ბიზნეს ომბუდსმენის აპარატის სამართლებრივი სტატუსი ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ახალმა ბიზნეს ომბუდსმენმა გიორგი გახარიამ პრემიერისა და ბიზნესმენების შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა.

— სამართლებრივი სტატუსი უნდა დაზუსტდეს, ამიტომ საკითხზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. პრემიერმა თქვა, რომ ფუნქციონალი უნდა დაზუსტდეს. — აღნიშნა გახარიამ და დასძინა, რომ სამუშაო შეხვედრა ერთ კვირაში გაიმართება.

გახარიამ განაცხადა, რომ ბიზნეს ომბუდსმენის ფუნქცია მხოლოდ მედიატორობა არ უნდა იყოს და ის ბიზნესის ინტერესების კანონიერი უფლებადამცველი უნდა გახდეს.

დავით კირვალიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი:

— ყოველდღიური, ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს რუსეთთან ღვინის გატანის საკითხზე. სავარაუდოდ მომავალ კვირას ველოდებით სამ ჯგუფს, რომელიც ჩამოვა. რაც შეეხება ბიზნეს-სექტორთან შეხვედრას, ასეთი შეხვედრები არის საუკეთესო, რომ პრობლემები უცებ მოისმინო და მიიღო ზომებიც, რომ უცებ გადაწყვიტო პრობლემა. პრობლემები იყო სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით, უხარისხო პროდუქციის შემოტანასთან დაკავშირებით. ახალი ხელისუფლება უხარისხო პროდუქციის შემოტანას და შემდეგ მის ბაზარზე გავრცელებას ებრძვის, კიდევ უფრო გამკაცრდება კონტროლი ამ მიმართულებით, რათა მომხმარებლის უფლებები დაცული იყოს. ასევე კეთილსინდისიერი მეწარმე იყოს კონკურენტუნარიან პირობებში ჩაყენებული.

## ლაშა პაპაშვილი: „ბიზნესში თავისუფლებაა და შიში აღარ არსებობს“

ნათია ხურცილავა

ბიზნესმენებმა პრემიერ-მინისტრისგან მიიღეს ინფორმაცია, რომ სამი საინვესტიციო ფონდი დაარსდება, რომლის ძირითადი მიზანიც უცხოური კაპიტალის მოზიდვა იქნება. სამი ახალი საინვესტიციო ფონდის პრეზენტაცია თვე-ნახევარში გაიმართება. ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და ბიზნესმენებს შორის გამართული შეხვედრის მონაწილემ, ,,ჯორჯიან ბიზნეს ინსაიდის“ წარმომადგენელმა ირაკლი ლექვინაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

ლექვანიძის განცხადებით დაგეგმილ პრეზენტაციაზე ინფორმაცია პრემიერ-მინისტრმა ბიზნესმენებს გააცნო.

— ეს საკითხი ყველა ბიზნესმენს აინტერესებს. ისინი მზად არიან, თავიანთი ინოვაციური პროექტები ამ ფონდებში წარადგინონ. — აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ.

როგორც ცნობილია, საქართველოში სამი ახალი ფონდი იქმნება, რომელთა მთავარი მიზანი ქვეყნისათვის ინვესტიციის მოზიდვაში დახმარება იქნება.

ბანკ ,,რესპუბლიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლაშა პაპაშვილი ამბობს, რომ ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ბიზნესში არის თავისუფლება და შიში აღარ არსებობს. ამიტომ, პაპაშვილს მიაჩნია, რომ საქართველოში ბევრი კაპიტალი შემოვა.

ბიზნესმენის აზრით, საინვესტიციო ფონდები უცხოელი ინვეს-



ტორებისა და მსხვილი საინვესტიციო ბანკების მოზიდვის საშუალება გახდება. ლაშა პაპაშვილის ვარაუდით, ფონდებში დამფუძნებლებად უცხოეთში მცხოვრები მდიდარი ქართველები გამოვლენ. მისი თქმით, საინვესტიციო ფონდების დაფინანსებაში მონაწილეობას ალბათ პრემიერ-მინისტრიც მიიღებს.

— ძალიან ბევრი საკითხი იყო განხილული. პრემიერმა გვითხრა, რომ უფრო დაწყნარებული, დაღვინებული სახეები გაქვთო. ჩემთვის ამ შეხვედრაზე მნიშვნელოვანი იყო ზოგადი მესიჯები თუ საით წავა ქვეყანა, იქნება თუ არა ხარისხის კონტროლი, იქნება თუ არა ქვეყანაში მიწების ზონირება. ქალაქების ურბანული დაგეგმარება, იქნება თუ არა ქალაქდაგეგმარება. ამ ყველა კითხვაზე დადებითი პასუხი მივიღეთ. არც ერთი კითხვა არ მახსენდება უარყოფითი პასუხი, რომ მიგვეღო პრემიერისგან. მთავარი რაც ბიზნესგანვითრაებსითვის სჭირდება თავისუფლებაა. აქამდე თავისუფლება არ იყო, პირიქით, შიში იყო. ახლა თავისუფლება გვაქვს, შიში აღარ არსებობს, ამიტომ ველოდებით, რომ ბევრი კაპიტალი მოვა ამ ქვეყანაში. — ამბობს ლაშა პაპაშვილი.

ბიზნესმენი საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ეს იქნება კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი საშუალება.

— ყველა უცხოელი ბიზნესმენისთვის, მსხვილი საინვესტიციო ბანკებისთვის ეს ფონდები კაპიტალის მოზიდვის კარგი შესაძლებლობა იქნება. უცხოელი მდიდარი ქართველები ალბათ იქნებიან ამ ფონდის დამფუძნებლები. ამას სხვა ბანკებიც მოჰყვება. — განაცხადა ლაშა პაპაშვილმა.

ლაშა პაპაშვილი ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტის საჭიროებას ვერ ხედავს. მისი თქმით, თუკი ზოგადი დამოკიდებულება ისეთი იქნება, რომლის შესახებაც არის საუბარი, ომბუდსმენობის საჭირო აღარ იქნება. „ბიზნესომბუდსმენი მე არ მჭირდება,“ — ამბობს პაპაშვილი.

— ზოგადი მესიჯი და დამოკიდებულება თუ ისეთი იქნება, რაზეც ახლა ყველანი ვსაუბრობთ ამ მრგვალ მაგიდასთან ომბუდსმენის არავითარი საჭიროება არ იქნება. მე სხვა სახელს დავარქმევდი. — ამბობს პაპაშვილი.

— ის ფაქტი, რომ არსებობს პიროვნება ბიზნეს გამოცდილებით, დიდ კომპანიებში საქმიანობის გამოცდილებით ეს ძალიან კარგია. კომუნიკაცია ამ დროს უფრო კარგი იქნება. თვითონ ის ფაქტი, რომ ბოლო სამ თვეში მეორედ ვხვდებით პრემიერს ეს აღსანიშნავია. მეორე შეხვედრა გაცილებით უფრო საქმიანი იყო, ვიდრე წინა შეხვედრა. ასეთი კომუნიკაციები საკმაოდ იმედის მომცემია. ძალიან ბევრი საკითხი, პრობლემა არსებობს ბიზნესში, რომელიც განხილულ უნდა იქნეს. ვფიქრობ ნელ-ნელა დიდ პროგრესს მივაღწევთ. — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

„თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საინვესტიციო ფონდების დაარსება უმნიშვნელოვანესი საკითხია. როგორც ხაზარაძე ამბობს, ქართულ ბიზნესს გრძელვადიანი დაფინანსება სჭირდება. მისი თქმით, ბევრი ისეთი პროექტია გაჩერებული, რომლებიც პირდაპირი ინვესტიციების გზით უნდა განხორციელდეს. ხაზარაძის აზრით, ფონდები ამ ფუნქციას შეასრულებენ.

— უმნიშვნელოვანესია ფონდების დაარსება, რომლებიც იქმნება. დღეს ქართულ ბიზნესს გრძელვადიანი კაპიტალი სჭირდება. ბევრი პროექტია გაჩერებული, ასეთი პროექტები მხოლოდ პირდაპირი ინვესტიციებით უნდა განხორციელდეს. ფონდები, ვფიქრობ, ამ ფუნქციას შეასრულებენ.

მამუკა ხაზარაძეს მნიშვნელოვან საკითხად, ასევე მიაჩნია კაპიტალური ბაზრის ჩამოყალიბება.

— ქვეყანაში საფონდო ბირჟა საკმაოდ სწრაფად უნდა განვითარდეს. ამასთან, კერძო საპენსიო ფონდები უნდა შეიქმნას, რომელიც გრძელვადიანი ფულის აკუმულირების საშუალება იქნება. თუკი საქართველოში ბიზნესმენს გრძელვადიან ფულთან წვდომა არ ექნება, ქვეყანა ვერ განვითარდება. მოკლევადიან კრედიტებზე კონცენტრირება ძალიან რთულია. ამიტომ, პრემიერთან ამ თემების განხილვა მნიშვნელოვანი იყო. — აღნიშნავს მამუკა ხაზარაძე.

# მაია ფანჯიკიძე: „აზიზიეს მეჩეთი არ აშენდება!“

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გუშინ საპარლამენტო უმცირესობას შეხვდა. ნაციონალები მაია ფანჯიკიძეს განსაკუთრებული სითბოთი რომ არ დახვდებოდნენ, ყველასთვის ნათელი იყო. ეს მინისტრმაც კარგად იცოდა და შეძლებისდაგვარად მომზადებული მივიდა პარლამენტში.**

ნაციონალებს ყველაფერი აინტერესებდათ. დეპუტატი გიორგი კანდელაკი დაინტერესდა, თუ რას ფიქრობს ფანჯიკიძე სტალინის შესახებ. საქართველოში ბოლო ხანებში სტალინის ძეგლების აღდგენის ეპიდემიაა. ნაცმოძი მიიჩნევს, რომ ამის უკან მეოცნებეები დგანან.

დეპუტატმა კანდელაკმა მინისტრს მოსთხოვა დაეკონკრეტებინა, მისაღებია თუ არა მისთვის სტალინის ძეგლების აღდგენა და ეთანხმება თუ არა, რომ სტალინი იყო სისხლიანი დიქტატორი, რომელმაც საბჭოთა ჯარებით საქართველოს ანექსია მოახდინა

ფანჯიკიძე სტალინის მმართველობის შეფასებისას კანდელაკის მოსაზრებას დაეთანხმა.

— ჩემთვის სტალინი და ჰიტლერი ერთი და იგივე ცნებაა, რადგან ორივე სისხლიანი დიქტატორი იყო, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

მინისტრი მიიჩნევს, რომ სწორედ ნაციონალები არიან დამნაშავე იმაში, რომ ხალხის ცნობიერება არ შეიცვალა.

— ამ მოვლენის გასააზრებლად მხოლოდ ოკუპაციის მუზეუმი საკმარისი არ არის. გერმანია წლების განმავლობაში მუშაობდა ფაშიზმის პრობლემის დასაძლევად და საგანმანათლებლო სისტემას აქტიურად იყენებდნენ. თუმცა, მიუხედავად ამდენწლიანი მუშაობისა, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაძლიეს ეს პრობლემა. ბავშვს თავიდანვე უნდა აუხსნა, რა მოვლენა იყო სტალინიზმი და რა შედეგები მოჰყვა მის მმართველობას. საქართველოში ამაზე დღემდე არც ერთ ხელისუფლებას არ უმუშავია. სტალინის ძეგლების აღდგენის ინიციატივა კერძო პირებს ეკუთვნოდათ, რადგან მათ კარგად არ აქვთ გააზრებული სტალინის პიროვნება და მისი მმართველობის შედეგები, — აღნიშნა მინისტრმა.



შეხვედრაზე პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ შემუშავებულ 14 პუნქტიან პროექტზეც იყო საუბარი. ფანჯიკიძის აზრით, შესაძლოა არსებობს პუნქტები, რომელიც ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომაც, მინისტრის თქმით, მისი განხილვა და საერთო შეთანხმების მიღწევა უნდა მოხერხდეს.

— ეს არის დოკუმენტი, რომლის განხილვაც შესაძლებელია. ამიტომ ის უნდა ჩამოყალიბდეს იმ სახით, რომლითაც ის მისაღებია. შესაძლებელია ამ დოკუმენტში არის პუნქტები, რომლებსაც თქვენ ან მე არ ვეთანხმებით, ამიტომ უნდა მიმდინარეობდეს ამ დოკუმენტის აქტიური განხილვა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმის მიხედვით, თუ რა არის საქართველოს ინტერესები. ამ ინტერესების შესაბამისად უნდა შეიცვალოს ის პუნქტები, რომელიც იწვევს არასწორ ინტერპრეტაციას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველოს ინტერესია: საქართველოს დეოკუპაცია, ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, მშვიდობის გამავრცელებელ ქვეყანად ჩამოყალიბება და ასევე, ევროპული ვალდებულებების შესრულება ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, — განაცხადა მინისტრმა.

14-პუნქტიანი შეთანხმების პროექტი, რომელიც საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსს ეხება, პარლამენტს 18 იანვარს გადაეგზავნა. დავის საგანი საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ის პუნქტები ხდება სადაც საუბარია, ეროვნული ინტერესების და საერთაშორისო ვალდებულებების დაბალანსებაზე. ასევე, რეგიონალური დაპირისპირებისას საქართველომ არ უნდა ითამაშოს სტრატეგიული ქვეყნის როლი და საქართველო აღარ უნდა იყოს დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების ნუსხაში.

მაია ფანჯიკიძის პასუხმა დავით დარჩიაშვილი არ დააკმაყოფილა. დარჩიაშვილის განცხადებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ მინისტრი ამ დოკუმენტს საერთოდ არ იცნობს.

— მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენ არ იცნობთ ამ დოკუმენტის შინაარსს და მეორე, ქვეყანას გააჩნია საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, იმედი მაქვს, თქვენც ამ სტრატეგიული დოკუმენტების ჩარჩოში მოქმედებთ. საგარეო საქმეთა სამინისტრო მსგავს პროექტზე საქმის კურსში უნდა იყოს, — განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

გოკა გაბაშვილი ყოფილი მაღალჩინოსნების დაკითხვით არის შეშფოთებული. მან ამ საკითხზე არაერთი განცხადება გააკეთა. გუშინ კი დაკითხვებზე მაია ფანჯიკიძესაც ემუსაიფა.

— იმ ფონზე, როდესაც თქვენი ხელისუფლება ექვსი ათასამდე ადამიანს კითხავს, იმ ფონზე, როდესაც ამდენი დეპუტატია დაბარებული დაკითხვაზე, იმ ფონზე, როდესაც დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ხელმძღვანელისთვის პატიმრობის შეფარდებას მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო ითხოვთ, მე არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე საუბარს სხვა მინისტრთან ვისურვებდი. ამიტომ სჯობს ისევ საგარეო კურსზე ვისაუბროთ, — განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

ასეთი დაკითხვები არც წინა ხელისუფლებისთვის იყო უცხო. პოლიტიკურ ოპონენტებს ლამის საფულეებში უდებდნენ ყუმბარმტყორცნებს. თუმცა, მაშინ გაბაშვილს ასეთი კითხვები არ გასჩენია.

— ის რაც ხდება დღეს ქვეყანაში, არის სამართლიანობის აღდგენა. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩემი პირადი მაგალითიც კმარა იმისთვის, რათა დავინახოთ, თუ როგორ ხდებოდა ადამიანის უფლებების დარღვევა წინასაარჩევნო პერიოდში, — ასეთი იყო ფანჯიკიძის პასუხი გაბაშვილის შეკითხვაზე.

ქართული დიპლომატიის ხელმძღვანელს აზიზიეს მეჩეთზეც მოუწია საუბარი.

მან საქართველოსა და თურქეთს შორის შემდგარ შეთანხმებაზე კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება. მინისტრმა განაცხადა, რომ ქართული მხარის გადაწყვეტილება, აშენდეს კიდევ ერთი ახალი მეჩეთი ნაცვალგების პრინციპს არ უკავშირდება.

— ქართულ და თურქულ მხარეებს შორის ძალიან ბევრი შეთანხმება შედგა. ერთ-ერთი მთავარი, რაც ითქვა თურქეთში, არის ის, რომ ნაცვალგების პრინციპით არ უნდა ხდებოდეს კულტურის ძეგლების აღდგენა და მოვლა. აზიზიეს მეჩეთი არც ყოფილა ნახსენები, ეს თემა არ უკავშირდება იშხნის და ოშკის აღდგენის თემას. ითქვა ისიც, რომ რადგანაც სხვა აღმსარებლობის მოქალაქეებს საქართველოში ლოცვის ჩასატარებლად არ აქვთ ადგილი, ბათუმში აშენდეს მეჩეთი. ეს იქნება ახალი მეჩეთი, რომელსაც ექნება სხვა არქიტექტურა და იგი არ უკავშირდება ქართული კულტურული ძეგლების განახლებას, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ნაციონალები ფანჯიკიძის პასუხებით უკმაყოფილონი დარჩნენ. განსაკუთრებით აღშფოთებულია გიორგი კანდელაკი. ის ამტკიცებს, რომ ფანჯიკიძე მის მეილებს კითხულობს.

მინისტრთან შეხვედრაზე შთაბეჭდილებები კანდელაკმა ფეისბუქის გვერდზე გამოაქვეყნა. მისი აზრით, 19 თებერვალს გამართულმა შეხვედრამ დაამტკიცა, რომ საქართველოს სუსტი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს.

აი, რას წერს დეპუტატი: დისკუსიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ძალიან სუსტი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს. კანდელაკს შეფასებისას კონკრეტული მაგალითები მოჰყავს და წერს, რომ: „საინტერესო დისკუსია იყო. გამოჩნდა, რომ საქართველოს ჰყავს ძალიან სუსტი საგარეო საქმეთა მინისტრი. კერძოდ: მას წარმოდგენა არა აქვს, რა ცვლილებები შედის ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში; მას არ გააჩნია არანაირი კონკრეტული მიზანი და გეგმა ნატოსთან მიმართებაში 2013 წლისთვის; მას არ დაუსახავს არანაირი კონკრეტული ნაბიჯები არაღიარების პოლიტიკის გასაგრძელებლად და ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებისკენ მიმართული რუსეთის ძალისხმევისთვის წინ აღსადგომად; საქართველოს უკანსვლის კრიტიკას დასავლეთის მხრიდან აბრალებს ნაციონალურ მოძრაობას და არა საკუთრივ ამ უკანსვლას; უმრავლესობის ლიდერის ანტიდასავლური განცხადება (ნაციონალურმა მოძრაობამ მოკლა მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა და არ შეიძლება ქვეყანას ჰქონდეს ერთი ვექტორი) ბელეტრისტიკაა და არა პოლიტიკური განცხადება; არ გრძნობს სტალინის ძეგლების დადგმის გამო არანაირ პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ კარგად გაიგო, რომ გორში ეს არის ქართული ოცნების წევრის, გორის გამგებლის ინიციატივა. წარმოდგენა არ აქვს, რომ საბჭოთა სიმბოლიკის ტირაჟირება (თუკი იგი ხელოვნების ნიმუშს არ წარმოადგენს) არის დანაშაული საქართველოს კანონმდებლობით. არ ჰგონია, რომ საერთოდ რამე უნდა გააკეთოს სახელმწიფომ საქართველოს დამოუკიდებლობის დასამარების ინიციატორის ძეგლების დადგმის გამო (მიუხედავად იმისა, რომ ეს არ მოსწონს, განსხვავებით ოცნების ლიდერებისგან).

# ივანიშვილს გამსახურდიასავით ვერ ჩამოაგდებენ

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ ეროვნულების ერთ-ერთ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან**

***— ბატონო სანდრო, დასავლეთი ურთიერთთანამშრომლობისკენ და თანაცხოვრებისკენ მოუწოდებს ხელისუფლებას და ოპოზიციას, თუმცა დაპირისპირება აქტიურ ფაზაშია შესული. რამდენად არის ამ სიტუაციაში იმის შანსი, რომ მოხერხდეს თანამშრომლობა?***

— დასავლელი პოლიტიკოსებისთვის წარმოუდგენელია ის პოლიტიკური ძალა, რომელი პოლიტიკური ძალაც ამდენი წლის განმავლობაში უმრავლესობაში იყო. ანუ მათ ჯერ კიდევ არ იციან ნაციონალური მოძრაობის არსი, თორემ ისინი, რა თქმა უნდა, არც ერთ შემთხვევაში არ დაიწყებდნენ საუბარს კოჰაბიტაციის თემაზე. დასავლეთის ქვეყნებს გადატანილი აქვთ ფაშიზმის მმართველობა და იმის შემდგომ, რაც ფაშისტური გერმანია დაინგრა და კომუნისტური რეჟიმი დაინგრა, კოჰაბიტაციაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა და ისინი გაქრნენ პოლიტიკური ასპარეზიდან. ეტყობა ჩვენ დასავლელ მეგობრებს კარგად ვერ გაუთვალისწინებიათ არსი ნაციონალური მოძრაობისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიხვდებოდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობა ანალოგია ფაშისტური და კომუნისტური პარტიებისა. თუ ისინი არ საუბრობენ ფაშისტებთან და კომუნისტებთან კოჰაბიტაციაზე, მაშინ რატომღა გვესაუბრებიან ჩვენ ნაციონალებთან კოჰაბიტაციაზე. კი ბატონო, იყო რამდენიმე ნაბიჯი გადადგმული იგივე ივანიშვილის მხრიდან, იგივე სხვა პოლიტიკოსების მხრიდან, ჩემი მხრიდანაც, იმისათვის, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან მომხდარიყო თანაარსებობის დასაწყისი, მაგრამ ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრების უმრავლესობა არის სისხლის სამართლის დამნაშავე და ამის მიუხედავად მაინც შეტევაზე გადმოდიან და ისინი არანაირ კოჰაბიტაციას არ აპირებენ.

***— მიგაჩნიათ, რომ ეს შეუძლებელია?***

— როგორ შეიძლება კოჰაბიტაცია იყოს ისეთ პოლიტიკურ ძალასთან, რომლებიც გაიძახიან, რომ ისინი 6 თვეში ისევ შეცვლიან ხელისუფლებას ქვეყანაში. არანაირი ნორმა არ არსებობს იმისა, რომ 6 თვეში შეიცვალოს ხელისუფლება, ანუ ისინი გეგმავენ გადატრიალებას. როდესაც პოლიტიკური ძალა გეგმავს გადატრიალებას, ასეთ ძალასთან კოჰაბიტაციის პროცესი მე წარმოუდგენლად მიმაჩნია. იგივე 8 თებერვლის მოვლენებს თუ გავიხსენებთ, ნაციონალურმა მოძრაობამ ისარგებლა ამ ადამიანების ემოციურობით და მშვენივრად წამოაგო ისინი პროვოკაციაზე. რასაც დღემდე იყენებენ ჩვენს უცხოელ კოლეგებთან იმისათვის, რომ აი, მათზე თავდასხმა მოხდა. თქვენ ნახეთ ყვავილებიან დივანზე ლამისპერანგის ამარა დარჩენილი ჩიორა თაქთაქიშვილი, რომელიც ჩვენ უცხოელ კოლეგებთან თავს იწონებდა იმით, თუ როგორ დაასისხლიანეს, არადა, წინა დღეს სააკაშვილის ბრიფინგზე მშვენივრად გამოიყურებოდა. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც არც პროვოკაციას, არც გადატრიალებას, არც არანაირ სხვა მეთოდს არ მოერიდებიან იმისთვის, რომ როგორმე დაიბრუნონ ის ნანატრი ძალაუფლება, რომლის გარეშეც ისინი ადამიანებადაც კი არ ითვლებიან. პარლამენტის წევრი და ფრაქციის თავმჯდომარე ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ რაც სააკაშვილმა მოაწყო რევოლუცია, არ მქონდა არანაირი თანამდებობა, მაგრამ ამაყად დავდიოდი ჩემი ქალაქის ქუჩებში და მშვენივრად ვგრძნობდი თავს ადამიანებთან ურთიერთობაში. ჩემგან განსხვავებით ნაციონალებს ხელისუფლების გარეშე არ შეუძლიათ ცხოვრება. მათთვის ხელისუფლებაში არყოფნა ნიშნავს იმ წუმპეში და სოროში დაბრუნებას, საიდანაც ისინი წლების წინ გამოძვრნენ.

***— ბატონო სანდრო, ამ ბოლო პერიოდში ხშირად ავლებენ პარალელს ზვიადის ხელისუფლებასა და ახალ ხელისუფლებას შორის. თქვენ რამდენად ხედავთ მსგავსებას და რამდენად საშიშია ეს სიტუაცია?***

— რა თქმა უნდა, გარკვეული ანალოგია ახლანდელ ხელისუფლებასა და ზვიადის ხელისუფლებას შორის არსებობს, იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება მოვიდა არჩევნების გზით, ივანიშვილის ხელისუფლებაც მოვიდა არჩევნების გზით. ზვიადის ხელისუფლებაც მოვიდა პატრიოტული სულისკვეთებით და ივანიშვილის ხელისუფლებაც მოვიდა პატრიოტული სულისკვეთებით. როგორც მაშინდელ ხელისუფლებას ებრძოდნენ საქართველოს დაუძინებელი მტრები, ასევე ებრძვიან ახალ ხელისუფლებასაც. ჩვენ ვნახეთ ზვიადის დროს, როგორ გამოუთხარეს საქართველოს სახელმწიფოებრიობას ძირი და როგორ დახიეს უკან 20-30 წლით. დღესაც ბევრნი არიან პატარა კიტოვანები, იოსელიანები და სიგუები. სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი და დანარჩენებიც ხომ არიან პატარა კიტოვანები და იოსელიანები, ესენიც ხომ საქართველოს მტრები არიან. ესენი ივანიშვილის კი არა ქართული სახელმწიფოებრიობის ოპოზიციაში არიან. ესენი ქართველი ერის ოპოზიცია არიან. მთელ საქართველოს გაყიდიან იმისათვის, რომ რამენაირი ფორმით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. ისინი თავიანთი აზროვნებით არ არიან ქართველები. რა თქმა უნდა, ანალოგია არის, როგორც მაშინ, კიტოვანმა, სიგუამ და იოსელიანმა არ დაიხიეს უკან და მოაწყვეს სისხლის ღვრა, რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობის ლიდერებსაც რომ მისცე საშუალება, მოაწყონ სისხლის ღვრა, ისინი აუცილებლად გააკეთებენ ამას. განსხვავება არის ის, რომ ზვიადის ხელისუფლება მაშინ ბევრად უფრო სუსტი იყო, ვიდრე დღეს ივანიშვილის ხელისუფლებაა. ივანიშვილის ხელისუფლების დამარცხება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ზვიადის ხელისუფლებისა იყო. ერთი რამ არის საგულისხმო, როგორც გამსახურდიას ხელისუფლებაში ჩანერგეს და სავსე იყო ჩანერგილი აგენტებით მისი ხელისუფლება, ძალოვანი უწყების ყველა ხელმძღვანელი ზვიად გამსახურდიასი ჩანერგილი აგენტი იყო და ყველა ძალოვანი უწყების მინისტრმა უღალატა მას. დღესაც ასევე მიმდინარეობს ჩანერგვა ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში იქნება თუ დაბალ რგოლებში და ეს პროცესი საკმაოდ მნიშვნელოვანია. აქ უნდა იყოს ფრთხილად ახალი ხელისუფლება.




***— ნაციონალებს ჯერ კიდევ ღრმად აქვთ ფეხები გადგმული და რაც არ უნდა უარყოს ახალმა ხელისუფლებამ, ისინი მაინც ახერხებენ გარკვეულწილად სიტუაციის სათავისოდ მართვას. დასავლეთის მხარდაჭერასაც კარგად იყენებენ. ითქვა ისიც, რომ ამერიკა სერიოზულ სანქციებს ამზადებს საქართველოს წინააღმდეგო... მაინც შესწევთ იმის ძალა, რომ პოლიტიკა შეცვალონ ქვეყანაში?***

— რა თქმა უნდა, ეს არის ზუსტად ის პუტჩისტური გზა, რომელი გზაც ჩვენ 90-იანი წლებში გვქონდა საქართველოში. იმ დროს ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ზვიადის ხელისუფლებისათვის დიქტატორული რეჟიმი ეწოდებინათ და დასავლეთს მწვანე აენთო ზვიადის ხელისუფლების დამხობისთვის. ესენიც ზუსტად ასე მოქმედებენ, ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტი, ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ დასავლეთისთვის ეთქვათ, აი, ივანიშვილის ხელისუფლება არის ავტოკრატიული მმართველობა. მე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ საკმაოდ დიდი ფულია გადახდილი, ნაციონალურ მოძრაობას მილიარდები აქვს მოპარული და მას ახლა უხდის ლობისტებს, იმისათვის, რომ უცხოეთის პრესაში დამკვიდრდეს ტერმინი: იავანიშვილი — კავკასიის ლუკაშენკო. დიდ ფულს იხდიან იმაში, რომ დასავლეთში რომელიმე დეპუტატმა ერთხელ მაინც თავის ინტერვიუში ეს ტერმინი იხმაროს დაივანიშვილი მოიხსენიოს კავკასიის ლუკაშენკოდ. მეც მაქვს ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში მიმდინარეობს ლობისტური მუშაობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს შეუწყდეს საერთაშორისო დახმარება. ასეთივე ლობისტური კამპანია მიმდინარეობს დიდი ბრიტანეთის პარლამენტშიც. იქაც

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# მამუკა ნოზაძე: „გურამ შარაძის მკვლელობის საქმის გამოძიებაც გაიწელება“

გულიკო ბალაძე

**– საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ყოველთვის იბრძოდა იმისათვის, რომ ყველა ჯალათი დაისაჯოს, რომელმაც ჩაიდინა ერის ერთ-ერთი ღირსეული შვილის, საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი თავდადებული მებრძოლის, აკადემიკოს გურამ შარაძის ვერაგული მკვლელობა. სამოქალაქო საზოგადოება ვერ იქნება ინერტული აკადემიკოს გურამ შარაძის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით. ეს არის ჩვენი ღირსების საქმე. მოვითხოვთ, გურამ შარაძის მკვლელობის შემკვეთები დასხდნენ საბრალდებო სკამზე, – განაცხადა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა რუსუდან შარაძესა და ამ საქმის ადვოკატებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.**

რუსუდან შარაძემ გვამცნო, რომ ამ საქმეში სიახლეა. ამის შესახებ მას პროკურატურაში უთხრეს.

– სიახლეა ის, რომ შევხვდი თბილისის პროკურორის მოადგილეს ალეკო იმედაშვილს. ასევე არაერთხელ შევხვდი პროკურორ შალვა ცერცვაძეს, რომელმაც ცოტა ხნის წინ ციხეში გამოკითხა გიორგი ბარათელი. ხაზგასმით ვამბობ – არსებული კანონმდებლობის პირობებში კეთდება ყველაფერი, რაც შეიძლება გაკეთდეს პროკურატურის მხრიდან. მიმდინარეობს საქმის შესწავლა. უახლოეს ხანში შეიქმნება საპარლამენტო კომისია, რომელიც იქნება უფლებამოსილი შეისწავლოს და გამოძიება აწარმოოს უშუალოდ ასეთ გახმაურებულ, დამთავრებულ საქმეებზე. როგორც ვიცი, ერთ-ერთი პირველი იქნება მამაჩემის მკვლელობის საქმე. საქმე დაიძრა. ეს უკვე სიახლეა. 22 ოქტომბრის შემდეგ, რაც გიორგი ბარათელმა დაარღვია დუმილი და პირველად ისაუბრა თავის უდანაშაულობაზე, მოითხოვა დაკითხვა და ითხოვა შველა, არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ არც ამ ადამიანის და არც ამ საქმის მიმართ. დღეს კი, დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმე მართლა იქნება გამოძიებული, – განაცხადა რუსუდან შარაძემ.

რუსუდან შარაძის ოპტიმიზმს, ფაქტობრივად, არ ეთანხმება ბარათელის ადვოკატი მამუკა ნოზაძე. ის ამბობს, რომ რუსუდან შარაძემ საქმის დეტალები არ იცის.

– საქართველოს მთავარი პროკურატურა გურამ შარაძის მკვლელობის გამოძიებას არ უდგება ადეკვატურად, აჭიანურებს მას. კომისია, რომელზეც ის საუბრობს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მომავალში უნდა ჩამოაყალიბოს. მას პირობითად ჰქვია მართლმსაჯულების ხარვეზის აღმომფხვრელი კომისია. ამ კომისიას ისედაც ევალება ყველა საქმის შესწავლა და 2005 წლის შემდგომი საქმეების გადასინჯვა. როდესაც საქართველოში ვითარება შეიცვალა, ადამიანებს მიეცათ იმედი, რომ აღდგებოდა სამართლიანობა, აღმოიფხვრებოდა ჩადენილი დანაშაულებრივი უკანონო ქმედებები, რის შედეგადაც ათასობით ადამიანი უკანონოდ იყო მსჯავრდებული (მათ შორის, გიორგი ბარათელიც), მათ საქმეებზე საქართველოს მთავარი პროკურატურა დროულად მოახდენდა რეაგირებას. სამწუხაროდ, დროში იწელება ამ კომისიის შექმნაც. ამიტომ ვფიქრობ, გურამ შარაძის მკვლელობის საქმის გამოძიებაც გაიწელება, – განაცხადა მამუკა ნოზაძემ.

მამუკა ნოზაძე ამბობს, რომ ჯერჯერობით არ არის ოპტიმისტური განწყობის რეალური საფუძვლები.

– მთავარ პროკურატურაში ძალიან ბევრი მტკიცებულებაა გაგზავნილი ადვოკატ ირაკლი გაბრიჩიძისა და ქალბატონ რუსუდანის მიერ, არიან მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ კონკრეტულ გარემოებებს, რომლის თანახმადაც უტყუარად დასტურდება, რომ ბარათელის მიმართ ბრალდება არ არის დადასტურებული. სამწუხაროდ, ვიდეო კადრებზე ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა საქართველოში არ არის. თუ პროკურატურის მზაობა იქნებოდა, ექსპერტიზა უცხოეთში ჩატარდებოდა. ფირით, რომელიც „ალდაგიდანაა“ ამოღებული, დასტურდება, რომ გიორგი ბარათელი იმ ადგილზე საერთოდ არ ყოფილა და მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ აქვს, – აცხადებს ადვოკატი მამუკა ნოზაძე.

მისი თქმით, პროკურატურისთვის წარდგენილია პოლიციელების ფოტოსურათებიც. ისინი ამოიცნო გიორგი ბარათელმა, როგორც მის წამებაში მონაწილეები, მაგრამ რეაგირება არ ხდება.



– გიორგი ბარათელმა პოლიციელების ფოტოებში მისი მწამებლები ამოიცნო. პროკურატურა, ელემენტარულად, ვალდებული იყო, ბარათელის დაკავებისას განხორციელებული ღირსების შემლახველი მოპყრობის გამო, გამოძიება დაეწყო. სამწუხაროდ, მთავარი პროკურატურის პროკურორების 95% ისევ ისინი არიან, ვინც იყვნენ 1 ოქტომბრამდე და წლების მანძილზე თხზავდნენ ისეთ სისხლის სამართლის საქმეებს, როგორიც გიორგი ბარათელის მიმართ შეთხზეს. მის მიმართ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. ისინი იყვნენ პოლიტიკურად ანგაჟირებული პროკურორები. დღესაც ეს პროკურორები, რომლებიც წლების მანძილზე წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებების თანამონაწილეები იყვნენ და წლების მანძილზე თეთრი ძაფით კერავდნენ საქმეებს, როგორც ამჟამად ახალი საქმე შეუკერეს გიორგი ბარათელს. ისინი ვერ აღასრულებენ სამართალს, – ასკვნის მამუკა ნოზაძე.

გიორგი ბარათელის წინააღმდეგ ახალ საქმეს რუსუდან შარაძემ თეთრი ძაფით ნაკერი უწოდა. ახალი სისხლის სამართლის საქმე იმ ინციდენტთან დაკავშირებით აღიძრა, რომელიც მოხდა, ციხეში 2012 წლის 27 ნოემბერს და გიორგი ბარათელს უკავშირდება.

მამუკა ნოზაძე მოითხოვს, რომ პროკურატურამ თავისი მოვალეობა შეასრულოს და გურამ შარაძის მკვლელობისა და გიორგი ბარათელის უდანაშაულობის საქმე კომისიას არ უნდა გადაეცეს, რადგან ამ საქმის ხელახალი გამოძიება შესაძლებელია ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო.

რუსუდან შარაძის განცხადებით კი, პროკურორებმა მას განუმარტეს, რომ მათ არ აქვთ წვდომა საქმის მასალებზე, კონკრეტულად, „ალდაგის“ ფირზე და არ არიან უფლებამოსილები დახურულ საქმეზე.

ადვოკატი მამუკა ნოზაძე კი მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არის შესაბამისი მუხლი ახლად გამოვლენილ გარემოებასთან დაკავშირებით და ამ მუხლით უნდა იხელმძღვანელოს პროკურატურამ.

– ახლად გამოვლენილი გარემოება ეს არის მტკიცებულება, რომელიც ახლად გამოვლინდება. ის მტკიცებულებები, რომელიც რუსუდან შარაძისა და ადვოკატ ირაკლი გაბრიჩიძის მიერ იქნა წარდგენილი მთავარ პროკურატურაში, აბათილებს გიორგი ბარათელის მიმართ წაყენებულ ბრალს. მთავარი პროკურატურა ვალდებულია მიიღოს, შეისწავლოს და გადასინჯოს ეს საქმე. შემდეგ კი თვითონ შევიდეს შუამდგომლობით განაჩენის გადახედვის მოთხოვნით. ამიტომ საქმის თავიდან აცილება გონივრულად არ მიმაჩნია. მთავარი პროკურატურის მხრიდან იმის თქმა, რომ მას არ აქვს გურამ შარაძის საქმეზე წვდომის სამართლებრივი შესაძლებლობა, აბსურდი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა, – ამბობს მამუკა ნოზაძე.

მამუკა ნოზაძის თქმით, ბარათელს ახლა ახალი ბრალდება შეუთხზეს.

– მეორე საქმეზე, რომლის თანახმადაც, თითქოსდა ე.წ. შტირი ჰქონდა გიორგი ბარათელს, დამთავრდა გამოძიება და სასამართლოს გადაეცა. პროკურატურა ცდილობს ბარათელს ბრალი დაუმძიმოს. იმის მაგივრად, რომ გამოასწოროს მის მიმართ ჩადენილი უკანონობა, ახალ-ახალ ბრალდებებს უთხზავენ. ბრალდებას მოაწერა ხელი მთავარი პროკურატურის ერთ-ერთმა პროკურორმა.

როგორც მამუკა ნოზაძე აცხადებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მას დაუკავშირდა ბორის კურტანიძე, რომელიც მისი შუამდგომლობის საფუძველზე გამომძიებელმა დაკითხა. კურტანიძე ადასტურებს გიორგი ბარათელზე განხორციელებულ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლებს, საუბრობს იმაზე, როგორ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მდგომარეობაში ჰყავდათ ის წლების განმავლობაში, როგორ ამყოფებდნენ წნეხის ქვეშ, რომ მას სიმართლე არ გაემჟღავნებინა.

როდესაც პროკურატურისთვის ცნობილია, რომ ამ საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, ნივთმტკიცება უშუალოდ მათ მიერ არ არის ამოღებული და არ დასტურდება ის გარემოება, რომ მას უტყუარად ჰქონოდა ე.წ შტირი, ასევე ძალიან დასაბუთებული არგუმენტაცია წარუდგინა თავად გიორგი ბარათელმა, პროკურორს, ელემენტარულად, ბრალი არ უნდა წარედგინა, საქმე არ უნდა გაეგზავნა სასამართლოში, – ამბობს ადვოკატი.

გურამ შარაძის საქმის ადვოკატმა ირაკლი გაბრიჩიძემ მოკლე ისტორიული ექსკურსი გააკეთა იმის თაობაზე, რაც უძღოდა ამ მკვლელობას.

– გურამ შარაძე იყო აკადემიკოსი, რომლის ცხოვრების წესი ერის სამსახური გახლდათ. თუ ნახავთ ბატონ გურამ შარაძის მიერ გაკეთებულ ემიგრაციის მუზეუმს, დავინახავთ, რაოდენ დიდი სამუშაოა მის მიერ შესრულებული ქართული ცნობიერების წარმოჩინებისა და დაცვისთვის. გურამ შარაძე მოკლა ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ნაციონალურმა მოძრაობამ ეროვნული მოძრაობის სახელით. ამ პერიოდში დამთავრებული იყო კრიმინალთან ბრძოლა, ყველაფერი კონტროლის ქვეშ იყო. ეს არ იყო რაღაც სპონტანური მოქმედებები. ქალაქის ცენტრში ადამიანების დახვრეტა გამორიცხული გახლდათ. მსგავსი შემდეგ აღარც განმეორებულა. მით უმეტეს, ბატონი გურამ შარაძე არ ყოფილა კრიმინალური გარჩევების ან საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი დავის მსხვერპლი. გურამ შარაძე მოკლეს მისი საქმიანობის გამო. მისი საქმის გამოძიება არის ერის ღირსების საქმე.

ირაკლი გაბრიჩიძემ ასევე გაახმაურა გარკვეული დეტალები, რომელიც უკავშირდება მკვლელობას და გამორიცხავს ბარათელის მონაწილეობას მკვლელობაში და, საერთოდ, მკვლელობის ადგილზე მის ყოფნას.

– საქმის კონკრეტული დეტალი ბევრია. მაგალითად, ე.წ. „ალდაგის“ ფირზე (რომელიც ჩემი თვალით მაქვს ნანახი) გამოსახულია ადამიანი, რომელიც უკან მისდევს ჭაღარა ადამიანს. ის არის ჭაღარა ადამიანზე გაცილებით მაღალი. შემდეგ ახორციელებს გასროლას. იქ ჩანს ამ ადამიანის ფიზიკური მონაცემები, კონტურები. დღევანდელი ტექნოლოგიების გამოყენებით, ადამიანის სიმაღლის, მხრების სიგანისა და ადამიანის ფორმებით, შესაძლებელია მკვლელის სახის აღდგენა. 95% სიზუსტით შესაძლებელია მკვლელის სახის აღდგენა. მით უმეტეს, როდესაც არსებობენ მოწმეები, კონკრეტული ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ შანიძის ქუჩაზე და დაინახეს მკვლელი. მათ ძალიან კარგად ახსოვთ იმ ადამიანის სახე. მოწმეები მზად არიან ფოტორობოტის შედგენისას დაეხმარონ გამოძიებას.

ეს მოწმეები ჩვენ გამოვკითხეთ და გამოკითხვის შინაარსი დევს პროკურატურაში. პროკურატურაში საკმარისზე მეტი ფაქტი და მტკიცებულებები წარვადგინეთ, რომ გამოძიება დაიწყონ და მოიპოვონ ყველა მტკიცებულება, რაც მოსაპოვებელია.

ირაკლი გაბრიჩიძემ გაახმოვანა, მკვლელობის შემდეგ როგორ მირბოდა მკვლელი შანიძის ქუჩით და როგორ მისდევდა მას ვიღაც დასაკავებლად:

– ეს მკვლელობა მოხდა დღისით, მზისით, შუა ქუჩაში. მკვლელმა აირბინა შანიძის ქუჩა, რომელიც სავსე იყო ხალხით. აივნებიდან იყურებოდა ხალხი, რომლებმაც უშუალოდ დაინახეს მკვლელი. ისინი აღწერენ, რომ ადამიანი იარაღით ხელში გარბოდა. მას უკან მისდევდა სხვა პიროვნება. ეტყობა, ვიღაც გამოეკიდა. ის შეიძლება ყოფილიყო „ალდაგის“ დაცვის თანამშრომელი, შეიძლება – სხვა პიროვნება. მკვლელი კი მის მოსაგერიებლად გასროლებს ახორციელებდა. ეს ნივთმტკიცებულებები საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ ახალი გამოძიება დაიწყოს.

## დაჭრილი სამხედროებისთვის რეაბილიტაციისა და პროტეზირების ცენტრი შეიქმნა

დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისთვის, საქართველოში რეაბილიტაციისა და პროტეზირების ცენტრი შეიქმნა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მალე აისაფის მისიაში დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებს ფიზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი უკვე საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ქართულ კლინიკაში ჩაუტარდებათ.

პრესსამსახურის ინფორმაციით, დღეს, შპს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრს“, აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი მედეა ბეთაშვილი ესტუმრნენ.

„მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტაციის ცენტრი მოემსახურება როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებს. ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ცენტრი მომავალში საშუალებას მისცემს დაჭრილ სამხედროებს, ასევე სამოქალაქო პირებს სრული სარეაბილიტაციო კურსი ჩაიტარონ და საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გახდნენ. ზუსტად ასევე ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც მსგავსი ცენტრებით სარგებლობა სამხედრო და სამოქალაქო სექტორს შეუძლია“ – განაცხადა აშშ-ის ელჩმა.

ნიუსპრესი



## თეა წულუკიანი ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, გუშინ ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, იუსტიციის მინისტრს, ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები აქვს დაგეგმილი როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, ისე – არასამთავრობო სექტორთან და მედიასთან.

5-დღიანი ვიზიტის განმავლობაში თეა წულუკიანი შეხვედრებს გამართავს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, თეთრ სახლში, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ამერიკელ სენატორთა აპარატის წარმომადგენლებს, ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში, დემოკრატიის განვითარების ეროვნულ ფონდში, ატლანტიკურ საბჭოში და ევრაზიის ფონდში. იუსტიციის მინისტრი ასევე, კოლუმბიის უნივერსიტეტში სიტყვით გამოვა.

აშშ-ის შემდეგ თეა წულუკიანი ბრიუსელს ეწვევა და შეხვედრებს ნატოს შტაბბინაში გამართავს. მინისტრი ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს, ალექსანდრე ვერშბოუს, და კავკასიასა და შუა აზიაში ნატოს გენერალური მდივნის წარმომადგენელს, ჯეიმს აპატურაის შეხვდება. თეა წულუკიანი ნატო-საქართველოს კომისიის სხდომას დაესწრება და მის მონაწილეებს სიტყვით მიმართავს.

იუსტიციის მინისტრის ვიზიტი აშშ-სა და ბელგიაში თვის ბოლოს დასრულდება.

ნიუსპრესი

## ირაკლი ალასანია ნატოს თავდაცვის მინისტერიალზე გაემგზავრა

ქართული დელეგაცია თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით, დღეს ბრიუსელში გაემგზავრა.

ბრიუსელში, ირაკლი ალასანია ნატო-ს თავდაცვის მინისტერიალს დაესწრება. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი შეხვედრებს გამართავს ნატოს გენერალურ მდივანთან, ანდერს ფოგ რასმუსენთან და მის მოადგილესთან, ასევე, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან, ჯეიმს აპატურაისთან და ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების სარდალთან, გენერალ ჯოზეფ დანფორდთან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი მონაწილე ნატოს არაწევრ ქვეყნებთან თავდაცვის მინისტრების დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრასაც დაესწრება.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებთან.

ნიუსპრესი

# მამუკა გიორგაძე: „სააკაშვილმა დიდი რაოდენობით თურქები შემოიყვანა“

შორენა კოწოწაშვილი

**ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გიორგაძე აჭარის ოსმალიზაციის საკითხზე საუბრობს და საფრთხეს ხედავს იმ პოლიტიკაში, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების დროს დაიწყო აქტიური ფორმით და დღესაც გრძელდება.**



გიორგაძეს აინტერესებს, რატომ ხდება საზოგადოებისთვის ცნობილი ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის – აჭარის ტერიტორიაზე მოქმედი მეჩეთების აშენება პოსტფაქტუმ და რას ნიშნავს ივანიშვილის სიტყვები: მკაცრი საუბარი შედგა ამ საკითხზე ერდოღანთან შეხვედრისას. არის თუ არა ახალი ხელისუფლება ობიექტურად ნაციონალებისგან კრიტიკის ღირსი მეჩეთების მშენებლობასთან დაკავშირებით, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მამუკა გიორგაძესთან.

***– თქვენი აზრით, რატომ დადგა დღის წესრიგში აჭარაში მეჩეთების აშენების საკითხი იმ ფონზე, როცა აზიზიეს მეჩეთის აშენებას ასეთი სერიოზული პროტესტი მოჰყვა და თანაც პრემიერ ბიძინა ივანიშვილის თურქეთში პირველი ვიზიტისას?***

– ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ერთადერთი პასუხი ამ შეკითხვაზე შეიძლება იყოს ის, რომ ახალი ხელისუფლება აგრძელებს იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდა. ე.ი. ამ ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი და, შესაბამისად, იგივე ფორმით და იგივე ვალდებულებებით მოქმედებს ქართული ოცნებაც, როგორც ძველი ხელისუფლება. ეს სამწუხაროა, მაგრამ ყველა ამ მიმართულებით, სადაც კი პრემიერს ვიზიტი ჰქონდა, შედეგებიდან გამომდინარე, ყველაზე ასეთი შეფასების გაკეთების საფუძველი იქმნება.

***– პრემიერმა თუ არა, კოალიციის ლიდერებმა კარგად იციან, რამხელა პროტესტი მოჰყვა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობაზე თურქულ მხარესთან წინა ხელისუფლების თანხმობას. სააკაშვილის ნაბიჯი დღეს რატომ გაიმეორეს ოცნების ლიდერებმა?***

– კოალიციის ლიდერებს არც არავინ არაფერს ეკითხება და ეს თვითონაც ძალიან კარგად იციან. როცა დღეს საუბრობენ იმასთან დაკავშირებით, დაიშლება თუ არა კოალიცია, ეს ხომ ღიმილის მომგვრელია. კოალიცია უბრალოდ ვერ დაიშლება. შუაზე თუ გახერხავენ ბიძინა ივანიშვილს, თორემ სადაც ბიძინა ივანიშვილი იქნება, იქ იქნება ქართული ოცნება დღეს შემავალი სუბიექტებით. აქ მთავარი ფიგურა არის ბიძინა ივანიშვილი, გადაწყვეტილებებს ივანიშვილი იღებს, დანარჩენი ამის მომსახურებას ახორციელებს ზოგი ნიჭიერად, ზოგი უნიჭოდ. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს თუნდაც იმ ხალხის პოზიციაზე, ვინც წინააღმდეგი იყო წინა ხელისუფლების დროს მეჩეთის აშენების და დღეს ისინი აცხადებენ, რომ პრინციპულად შეიცვალა რაღაცაო.

***– ვიცე-სპიკერ მურმან დუმბაძეს და მის განცხადებებს გულისხმობთ?***

– მათ შორის მურმან დუმბაძეს, რომელსაც პიროვნულად დიდ პატივს ვცემ და, შესაბამისად, გაკვირვებული ვარ მისი ამ მოქმედებით. „მეჩეთის მშენებლობა უნდა გაიმიჯნოს პოლიტიკისგან“ – როცა დღეს ამას აცხადებს მურმან დუმბაძე, მაშინაც და დღესაც ეს საკითხი პოლიტიკის ნაწილია. აქ არის კიდევ ერთი საკითხი, როცა ამას ასე ხისტად გვაწვდიან, იგივე შეიძლება ეთქვათ თბილისში. მრგვალი მაგიდა გამართულიყო, რაღაც მოლაპარაკებები ყოფილიყო, ფორმა მაინც მიეცათ ისეთი, რომ ეს ქართული მხარის გადაწყვეტილებაა. ახლა ღიად და ცალსახად გამოჩნდა, რომ ეს არის საქართველოზე გარედან ზეწოლა, ეს ერთი და მეორე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ საქმეში არის ის, რომ სააკაშვილს მიეცა საშუალება, ცინიკურად გადმოგვხედოს ჩვენ და მთელ საზოგადოებას და განაცხადოს, ჩემი მიღწეული შეთანხმება არ მოგწონდათ და იგივე შეთანხმება სხვისი ხელით განხორციელებული რატომ მოგწონთო. ერთ ერთი გამაღიზიანებელი ფაქტორი აქ სწორედ სააკაშვილის ფაქტორია, რომელსაც მიეცა საშუალება, რომ მსგავსი საკითხი გადაეწყვიტა. ვფიქრობ, არასწორია, როცა საკითხი ისე წყდება, რომ სააკაშვილს ასეთ კოზირს აძლევენ ხელში. ჩემი აზრით, ახალი ხელისუფლების მხრიდან უფრო ქმედითი ნაბიჯები იყო საჭირო.

***– ქართული ოცნების ლიდერები ისე წარმოაჩენენ, რომ ერდოღანთან სრულიად სხვა შეთანხმება გაფორმდა. იგივე აჭარაში კმაყოფილებას აფიქსირებენ იმის გამო, რომ მეჩეთი იუნკერების საფლავზე არ აშენდება.***

– იუნკერების საფლავზე რომ არ აშენდებოდა მეჩეთი, ეს გარკვეული იყო 2012 წლის მარტში, როდესაც ქართული სასულიერო პირების აქტიურობის შედეგად უარი ეთქვა ხელისუფლებას ამ საკითხზე, ხოლო 2012 წლის 3 ივლისს, როდესაც ეს ტერიტორია შემდეგ გადაეცა სხვას სასტუმროს ასაშენებლად, ადგილობრივი სასულიერო პირების აქტიურობით თვითონ ხელისუფლებამ მოხსნა ის ჯებირი, რომლითაც შემოსაზღვრული იყო ეს ტერიტორია. ასე რომ, ამ ტერიტორიის საკითხი გარკვეული იყო იგივე სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში. პრობლემა იყო ის, რომ ქალაქის ცენტრში აშენდებოდა თურქეთის სახელმწიფოს ზეწოლის შედეგად მეჩეთი, რომელიც, როგორც ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, იქნებოდა თურქი ინვესტორებისა და ბიზნესმენებისთვის. თუ ასეთ დონეზეა საქართველო, რომ ტურისტებისა და ინვესტორებისათვის მეჩეთების მშენებლობის შესაძლებლობა გვაქვს, ძალიან კარგი. მართლა მივესალმებით ისეთ საქართველოს, სადაც ასეთი ფუფუნების უფლება გვექნება, მაგრამ დღეს საქართველო ამ ვითარებაში არ არის.

***– ფაქტია, ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებამდე აქტიურად აპროტესტებდა იმ ვითარებას, რომ აჭარაში 300 ათასი თურქია რეგისტრირებული. ამ საგანგაშო მაჩვენებლის ფონზე რამდენად მართებულია მსგავსი გადაწყვეტილება და რატომ იხევს მუდმივად ქართული მხარე თურქეთის სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე?***

– ჩემთვის ასეთი პოლიტიკაა მიუღებელი და არა ის, ამას სააკაშვილი გააკეთებს თუ სხვა ლიდერი. აქ რაღაც თანამიმდევრული ნაბიჯები ჩანს. სააკაშვილმა შემოიყვანა დიდი რაოდენობით თურქები, ახლა უზრუნველვყოთ უნდა ჩვენ ისინი რელიგიური მომსახურეობით? ანუ ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ამ ადამიანებს თავიანთი გემოვნებისდა მიხედვით მივცეთ შესაძლებლობა, რომ მყარად მოიკიდონ ფეხი ქართულ მიწაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც თურქეთის ხელისუფლებას ღიად აქვს გაცხადებული, ვისაც არ წაუკითხავს, ვურჩევდი წაიკითხოს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ოღლუს წიგნი, სადაც ღიად და აშკარად არის გაცხადებული, რომ აჭარა მოიაზრება მათი გავლენის სფეროში. ეს თავისთავად, ცხადია, მტრობას არ ნიშნავს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ახლა აქ ანტითურქული პროტესტი გამოვთქვათ, თურქული პროდუქციის ბოიკოტირება დავიწყოთ.

***– თუმცა, ვფიქრობ, საზოგადოებამ არც ასე უსიტყვოდ არ უნდა მიიღოს ივანიშვილ–ერდოღანის შეთანხმება მეჩეთების მშენებლობასთან დაკავშირებით.***

– სწორედ ამაშია საქმე. ქართულმა საზოგადოებამ უნდა გამოხატოს, რაც შეიძლება დიდი პროტესტი. თუ ხელისუფლებას შენარჩუნებული ოდნავ მაინც აქვს სახელმწიფოებრივი აზროვნება, მაშინ ის ხალხის მხარეს დადგება. არ გამოვრიცხავ იმ მომენტსაც, რომ სააკაშვილის მიერ აღებული ვალდებულება იყო გასასტუმრებელი დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან. ახლა უკვე საზოგადოებაზეა საქმე. ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა და თუ აქვს მანევრის საშუალება ან სურვილი ბიძინა ივანიშვილს, კი ბატონო, მიიღებს შემდეგ სხვა გადაწყვეტილებას. თუ მან ელემენტარულად ჩაახშო განსხვავებული აზრი, თუ არ მიეცა არგუმენტირებული პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც აპროტესტებს ასეთ გადაწყვეტილებას, მაშინ აღმოჩნდება ის, რომ ივანიშვილი თანმიმდევრულად აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკას აჭარის ოსმალიზაციის მიმართულებით.

***– თქვენი აზრით, თურქეთის ინტერესების ასე უსიტყვოდ გატარება საქართველოში მხოლოდ თურქული ინვესტიციებიდან გამომდინარე ხდება? რატომ გეკითხებით იცით, არაერთი საუბრობდა იმაზე, რომ თანდათან სისრულეში მოდის გეგმა 2020 წლისთვის საქართველოს რეგიონებად დაყოფის თაობაზე.***

– ვერ გეტყვით, ივანიშვილიც თუ ამ მხრივ იგივე ტაქტიკას ირჩევს. თუ ასეა, მთლად ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. ნამდვილად არ მინდა ამ მიმართულებით ვიფიქრო, მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ არა მხოლოდ თურქეთთან, არამედ სომხეთთან და აზერბაიჯანთან მიმართებაშიც რაღაც ახალი სიტყვა უნდა თქვას ხელისუფლებამ. ქართულმა ოცნებამ იგივე ტაქტიკა არ უნდა განახორციელოს, რაც წინა ხელისუფლებას ჰქონდა. გადაწყვეტილების მიღების ფორმებიც კი ემთხვევა სამწუხაროდ ერთმანეთს – როცა პოსტფაქტუმ სხვა სახელმწიფოსგან ვიგებთ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ საქართველოსთან მიმართებაში. ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ დენის ტარიფის მხოლოდ სამი თეთრით შეცვლა საზოგადოებას ვერ დაარწმუნებს იმაში, რომ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ გრძელდება დღემდე სააკაშვილის პოლიტიკა და გადაწყვეტილებების დახურულად მიღება.

***– დაბოლოს, თქვენი აზრით, რატომ ირჩევს ამ დროისთვის ეკლესია თავისი პოზიციის დაფიქსირებას ივანიშვილის მიერ მეჩეთების მშენებლობაზე დათანხმებასთან დაკავშირებით?***

– ბუნებრივია, საქართველოს ეკლესია შეეცდება, როგორც მას სჩვევია, ეს საკითხიც ძალიან დელიკატურად მოაგვაროს; ისე, რომ გაითვალისწინოს მაქსიმალური ინტერესები. თუ ვინიცობაა, არ გადაწყდება ისე, როგორც საქართველოს და ქართველ ხალხს სჭირდება, ეკლესია ალბათ პრინციპულად იტყვის თავის პოზიციას. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო. იგივე თემას ეკლესიის პოზიცია, საქართველოს მთავრობის პოზიცია, იქნება ის, რომ ქართული პოზიცია იქნება გამყარებული თუ ქართველი საზოგადოება, როცა უფრო აქტიურად გამოხატავს პროტესტს ამ საკითხთან დაკავშირებით. ყველა დაინახავს, რომ ქართველი საზოგადოება არის დამოუკიდებელი საზოგადოება; რომ ხელისუფლება და საზოგადოება პარტნიორები არიან, მაგრამ სხვადასხვა სუბიექტებია; რომ აღარ არსებობს საქართველოში ხელისუფლებაზე მიბმული საზოგადოება. აი, ეს უნდა დავანახოთ მტერსაც და მოყვარესაც. ამის შემდეგ არა მარტო ამ საკითხში, სხვა საკითხშიც გაგვიწევენ ანგარიშს.

# ივანიშვილს გამსახურდიასავით ვერ ჩამოაგდებენ

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბევრი მეგობარი მყავს და იქიდან მაქვს ეს ინფორმაცია. მეორეს მხრივ კი ჩემი მეგობრები არიან ქართულ ოცნებაში, მაგრამ მე მინდა მათ შევახსენიო ერთი რამ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე არ მიმდინარეობს საპირწონე აქტიური მუშაობა.

***– ამას ბევრი საყვედურობს ახალ გუნდს დარატომ არ აქტიურობენ ამ კუთხით?***

– მე პირდაპირ მინდა გითხრად, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ქალბატონი ფანჯიკიძე შესანიშნავი ადამიანი ბრძანდება, მაგრამ მისი უწყება უცხოეთში ის ევერ მუშაობს, როგორც უნდა მუშაობდეს. შემდეგ თავად ბიძინა ივანიშვილს უხდება ამ შეცდომების გამოსწორება. ესევე გამოასწორა ბიინა ივანიშვილმა შეცდომა სომხეთში, აზებაიჯანში და ბოლოს თურქეთში. თურქეტსი მართლაც რომ მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო, მე გავეცანი პრესას, ვესაუბრე პოლიტიკოსებს და მე მაქვს მათგან ინფორმაცია, რომ ივანიშვილის შეხვედრები იყო შთამბეჭდავი. ერთი კაცი ივანიშვილი აქეთაც და იქითაც ყველაფერს ვერ გაწვდება. საჭიროა საერთაშორისო ასპარეზზე უკეთესი მუშაობა. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ის რაც ჩაფიქრებული აქვთ ნაციონალებს ეს არ გამოუვიდეთ, ჩანასახშივე უნდა მოისპოს ეს ყველაფერი. მეტსაც გეტყვით ნაციონალური მოძრაობა საერთოდ უნდა მოშორდეს პოლიტიკური ასპარეზიდან. ჩვენ ვხედავთ რომ ნაციონალების რეიტინგი დღეისატვის რეალურად არის 5%.

***– თუმცა ოცნების რეიტინგმაც დაიწია...***

– ეს ბუნებრივიცაა და ყველა ხელისუფლებისთვისაა დამახასიათებელი. მე ნამდვილად არ მინდა, რომ საქართველოში იყოს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც 80-90%-იანი რეიტინგი ექნება. მე მირჩევნია, რომ 51 და 53%-იანი რეიტინგი ქონდეს. ჩვენ ვხედავთ რომ 5%-ს ვერ ცდება ნაციონალები, ამისათვის საჭიროა ელემენტარული რამ, ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ვერ გაყალბდება. ნაციონალური მოძრაობა დღეს პარლამენტში ზის გაყალბებული არჩევნებით. დღეს არის საკმარისი საბაბი იმისათვის, რომ დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები და მე დარწმუნებული ვარ, რომ ოცნება 70%-ს მინიმუმს აიღებს, ხოლო ნაციონალური მოძრაობა მინიმუმ 5%-ს ვერ გადალახავს. მერე ირბინონ წინ და უკან გინდა უცხოეთში და გინდაც საქართველოში.

***– რატომ არ მიდის დღეს ამის პროპაგანდა, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?***

– იმიტომ რომ ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება, ოღონდ ეს მოხდება საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ.

# დღეს ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძის და ზურაბ შამათავას წინასასამართლო სხდომა გაიმართება

დღეს, 20 ნოემბერს, 12:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბრალდებით დაკავებული თავდაცვის სამინისტროს ექს-მაღალჩინოსნების: ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძის და ზურაბ შამათავას წინასასამართლო სხდომა გაიმართება. როგორც „მედიანიუსს“ ბაჩო ახალაიას ადვოკატმა დავით დეკანოიძემ განუცხადა, ამ პროცესზე საქმის არსებითი განხილვა არ მოხდება და საუბარი შეეხება საქმეში არსებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს.

როგორც ცნობილია, ზემოხსენებულ საქმეზე პირველი სასამართლო პროცესი 25 დეკემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა პროკურატურის მოთხოვნით მოსმენის თარიღი ორჯერ შეიცვალა. ახალაიას ადვოკატები ფიქრობენ, რომ პროკურატურას სასამართლო პროცესის დაწყების თარიღის გადავადება მოუმზადებლობისა და მტკიცებულებების არარსებობის გამო დასჭირდა.

არსებული ინფორმაციით, ხვალისათვის დაგეგმილ სასამართლო პროცესს ახალაიას ახლობლები და მხარდამჭერები დაესწრებიან. ამის გამო დღეს მისმა მეუღლემ, ანი ნადარეიშვილმა შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოუწოდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსთან წესრიგი უზრუნველყოს და შესაძლო ექსცესების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებები გაატაროს.

როგორც „მედიანიუსს“ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა ნადარეიშვილის ზემოხსენებული მოწოდების კომენტირებისას განუცხადა, პოლიცია უსაფრთხოების ზომებს მიიღებს და შესაძლო ძალადობის ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით შესაბამის ნაბიჯებსაც გადადგამს.

როგორც ცნობილია, მთავარ პროკურატურაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება გასული წლის ნოემბრის თვეში, ხელისუფლებაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ დაიწყო. ზემოხსენებული დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

პროკურატურის მტკიცებით, გამოძიებით დადგენილია, რომ 2011 წლის ოქტომბერში თავდაცვის მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ, თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროს გიორგი კალანდაძესთან და მე-4 ბრიგადის მეთაურ ზურაბ შამათავასთან ერთად, თავდაცვის მინისტრის სამუშაო კაბინეტში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა 6 სამხედრო მოსამსახურეს. ამასთან. ბაჩანა ახალაიამ ერთ-ერთ სამხედრო პირს – შოთა ბედოშვილს – დანის ტარი თავში ჩაარტყა.

აღნიშნულის შემდეგ ბაჩანა ახალაიამ ზემოაღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები ვაზიანში დისლოცირებულ მე-4 ბრიგადაში გადაიყვანა. აქ, ბრიფინგის ოთახში მათ კვლავ სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამის შემდეგ დაზარალებულთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა გაგრძელდა მე-4 ბრიგადის პირადი შემადგენლობის, დაახლოებით 20-30 კაცის წინაშე, ეზოში (ე.წ. „პლაცზე“) მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეების თვალწინ.

გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნენ ბაჩანა ახალაია, ზურაბ შამათავა და გიორგი კალანდაძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდებით. კალანდაძეს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გადახდა, ხოლო ახალაიას – წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მედიანიუსი

# გია ხუხაშვილი „საქართველოს რკინიგზის“ გენდირექტორის კონსულტანტად დაინიშნა

სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის კონსულტანტად გია ხუხაშვილი დაინიშნა.

„გია ხუხაშვილს რკინიგზაში მუშაობის მრავალპროფილიანი გამოცდილება გააჩნია. 2003-2004 წლებში იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ხოლო 2004 წელს მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ კორპორატიული მართვის დირექტორის თანამდებობაზე. საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს ლოჯისტიკის სფეროში გამოცდილების მქონე პირთა კანდიდატურებს სხვადასხვა საკონსულტაციო პოზიციებზე დასანიშნად“, – ნათქვამია საქართველოს რკინიგზის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში..

მედიანიუსი

# ბაკურ ბაკურაძე: „ვაჟბატონმა ხაბურზანიამ დაგვიდასტუროს, რომ ბურჯანაძე პრორუსულია“

თამარ ნინიძე

**2013 წლის 13 იანვარს ამნისტიის საფუძველზე ციხეები ყველა პოლიტპატიმარმა დატოვა. ზუსტად ერთი თვის თავზე „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტსაბჭომ პოლიტპატიმრებთან შეხვედრა გამართა, რომელზეც შეფასდა არსებული პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში და პოლიტპატიმრებმა დადებითად შეაფასეს მთავრობის ინიციატივა სპეციალური კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც განიხილავს სააკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებული ადამიანების საჩივრებს. შეხვედრაზე პოლიტპატიმარმა გია სალუქვაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია თითოეული პოლიტპატიმრის საქმე გამოიძიოს მთავარი პროკურატურის ცენტრალურმა აპარატმა. ხოლო მასზე პროცესუალური ზედამხედველობა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განახორციელოს, ვინაიდან სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობებს ჯერ კიდევ იკავებენ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ასრულებდნენ ხელისუფლების უკანონო პოლიტიკურ დაკვეთებს.**

„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ თანაპარტიელებს მადლობა გადაუხადა რეჟიმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისთვის, რაც მათ საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახების უსაფრთხოების რისკის ფასად გასწიეს და აღნიშნა, რომ ამ თავდაუზოგავმა ბრძოლამ სააკაშვილის რეჟიმი გადატეხა და უზრუნველყო ქვეყანაში 1 ოქტომბრის მშვიდობიანი ცვლილებები. ამასთანავე ბურჯანაძემ განაცხადა, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ და სახალხო კრება გააგრძელებს ბოლომდე ბრძოლას სამართლიანობის აღდგენისთვის. „დემოკრატიული მოძრაობა“ არანაირ კომპრომისზე არ აპირებს სააკაშვილის რეჟიმთან წასვლას და მოითხოვს, კანონის წინაშე წარდგნენ ის პირები, ვინც 26 მაისის სისხლიანი სასაკლაოს ორგანიზება მოახდინა. ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ კანონის მთელი სიმკაცრით უნდა გასამართლდნენ ნაცმოძრაობის ის ლიდერები, რომლებმაც დაგეგმეს ეს დარბევა და ეს რევანში კი არ არის, არამედ იმის გარანტიაა, რომ თავგასულ ხელისუფალთა მხრიდან არასდროს განმეორდეს ეს ბოროტი სპეცოპერაცია საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ.

პოლიტპატიმრებმა, როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“, ასევე სახალხო კრების წევრებმა საგანგებოდ აღნიშნეს, რომ არ აპირებენ დატოვონ არც პარტიის რიგები და არც სახალხო კრების წევრობა და გმობენ სააკაშვილის რეჟიმისა და ყოფილი ოპოზიციის მიერ გავრცელებულ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ბურჯანაძემ და სხვა ლიდერებმა 26 მაისის დარბევის ღამეს მიატოვეს თანაგუნდელები და გაიქცნენ. ყველამ ნახა სასტიკად ნაცემი თემურ შაშიაშვილი, სოსო ჯაჭვლიანი და ბურჯანაძის ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული მიზანმიმართული დევნის მოწმენიც იყვნენ. იმ ღამეს, როცა აქციის ლიდერებსა და მონაწილეებს სააკაშვილის სპეცრაზმი სასტიკად უსწორდებოდა, ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც დღეს საპარლამენტო უმრავლესობის რიგებშია, ნაცმოძრაობასთან ერთ ხმაში შეწყობილი ბურჯანაძეს და სახალხო კრების სხვა ლიდერებს აკრიტიკებდა. დღეს პოლიტიკური რეალობაც და მათი მოსაზრებებიც შეიცვალა.

პოლიტპატიმრებთან „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს შეხვედრამ დაადასტურა ის პოზიცია, რომ ნაცმოძრაობის მიერ რეპრესირებულ და უზარმაზარი ფიზიკური და მორალური ზიანის მიუხედავად, როგორც ამ გაერთიანების, ასევე სახალხო კრების არც ერთმა წევრმა არ დატოვა ეს მოძრაობა და მაინც დარჩა ერთ შეკრულ გუნდად. 1 ოქტომბრის არჩევნებმა კი დაადასტურა იმ პოზიციის გონივრულობა, რომ ნაცმოძრაობის წინააღმდეგ მის დასამარცხებლად მთელი ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება იყო აუცილებელი, რაზეც ბურჯანაძე აცხადებდა „დემოკრატიული მოძრაობის“ დაფუძნების დღიდან მოყოლებული 2009, 2010 და 2011 წლის ოპოზიციურ აქციებზე. ოპოზიციის დაქსაქსულობა ნაცმოძრაობას ეხმარებოდა ძალაუფლების შენარჩუნებაში, ბურჯანაძის პოზიცია იმ დროს რომ სწორი აღმოჩნდა, ეს შემდგომ 1 ოქტომბრის შედეგებმაც აჩვენა, როცა ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილის გაერთიანებამ მოიტანა სააკაშვილის ხელისუფლების მარცხი არჩევნებზე. 2009 წლიდან მოყოლებული ბურჯანაძემ მოახერხა გაებათილებინა ის მოარული ჭორები და ხმები, რომელსაც მას ოპოზიციის ერთი ნაწილი უვრცელებდა მისი ხელისუფლებაში მოსვლის სურვილების შესახებ. ბურჯანაძეს კარგად ესმოდა, რომ სააკაშვილის პირობებში ოპოზიციის მოსვლა ხელისუფლებაში არარეალური იყო, ხოლო ერთიანი ძალით სააკაშვილის დამარცხება სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, ქვეყნის გადარჩენასა და სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებას შორის ბურჯანაძის პოლიტიკურმა გაერთიანებამ ტოლობის ნიშანი დასვა.

რვიანში და შემდგომ ექვსიანში შემავალი პარტიები დაკავებული იყვნენ სააკაშვილის ხელისუფლებასთან საარჩევნო „კოჰაბიტაციაში“, შემდგომ მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ ეს შეუგნებელი კომპრომისი სააკაშვილის ხელისუფლების გაძლიერებას უწყობდა ხელს. ამ დროს კი რვიანის წევრი პარტიები ბურჯანაძეში მხოლოდ მათთვის სახიფათო კონკურენტს ხედავდნენ და ისევე გააფთრებით ებრძოდნენ მას, როგორც ნაცმოძრაობა. ნაცმოძრაობამ, რომელიც უპრეცედენტოდ გაძლიერებული იყო 26 მაისს მაშინდელი ოპოზიციის წყალობით, 1 ოქტომბერს ხალხის მასობრივ გამოსვლებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დარბევა ვერ გაბედა, ამიტომ 26 მაისის დღეს ყოფილი ოპოზიციის, ახლა კი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ხშირად ახსენებენ ნაცებს და გარკვეულწილად საკუთარ პიარკამპანიაშიც იყენებენ. გაირკვა, რომ თურმე 26 მაისი რომ არ ყოფილიყო, ვერც 1 ოქტომბერი იქნებოდა ასეთი შედეგიანი.

თუმცა დღესაც ნაცმოძრაობა ხელისუფლებიდან ბოლომდე არ არის წასული, ახლაც ფლობს იმ სახიფათო ბერკეტებს, რომელიც მას ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის პროვოცირებისთვის სჭირდება, ამიტომ სრულიად გასაგებია ივანიშვილის მცდელობა, კონსტიტუციაში შევიდეს ის ცვლილებები, რომელიც ქვეყანას ნებისმიერი პოლიტიკური ძალის პირობებში თავიდან აარიდებს დიქტატურასა და ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას, ნაცები ისევ იმუქრებიან და ამის საილუსტრაციოდ მათი გენდმივნის მერაბიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებებიც საკმარისია, რომ ნაციონალები დიდხანს ველარ მოითმენენ ქართულ ოცნებას ხელისუფლებაში და ყველა მათ ხელთ არსებული ხერხებით შეცვლიან რეალობას.



ბურჯანაძემ არ გაიზიარა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მოსაზრება, რომ ევროსასამართლოდან საქართველომ გამოითხოვოს სარჩელები, პირიქით „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი მიიჩნევს, რომ პოლიტპატიმრების საქმეები სწორედ ევროსასამართლომ უნდა გამოიძიოს, რომ ბოლოს და ბოლოს მოხდეს მათი რეაბილიტაცია, არავის დარჩეს ოდნავადაც კი იმის ეჭვი, რომ ვინმე აქ პრორუსული იარლიყით აპირებდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, რასაც შავი პიარის საშუალებით ნაცმოძრაობა წარმოაჩენდა. ახალი ხელისუფლების მმართველობის ასი დღე გავიდა, მორატორიუმიც შესაბამისად დასრულდა, მაგრამ ბურჯანაძე მაინც არ ჩქარობს პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას, თუმცა საზოგადობაში არის მოლოდინი, რომ ბურჯანაძეს მნიშვნელოვანი სათქმელი აქვს საზოგადოებისთვის, „დემოკრატიული მოძრაობის“ სახით დღეს პოლიტიკურ სპექტრში, მით უმეტეს, პოლიტპატიმრების განთავისუფლების შემდეგ ანგარიშგასაწევი ძალა არსებობს, საიდანაც არც ერთი წევრი არ წასულა და მეტიც, სამართლიანობის აღსადგენად ყველა ბოლომდე აპირებს ბრძოლას ყოველგვარი კოჰაბიტაციის გარეშე.

„დემოკრატიულმა მოძრაობამ“ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო და ეს შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც პოლიტიკური ძალის მიერ გადადგმულ არასწორ ნაბიჯად, თუმცა მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ მაშინ ბურჯანაძემ გონივრული და პრაგმატიზმზე გათვლილი გადაწყვეტილება მიიღო. ოპოზიციურ ძალთა დაქსაქსულობა სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებას ხელს შეუშლიდა, ამიტომ ხმები რომ არ გაყოფილიყო, პარტიამ ეს მსხვერპლი გაიღო, „დემოკრატიულ მოძრაობას“ არჩევნებში მონაწილეობა რომ მიეღო პარლამენტში ძალთა სულ სხვა განლაგება იქნებოდა, არადა სოციოლოგიური გამოკითხვებით, რასაც ნაცმოძრაობა მალავდა, „დემოკრატიულ მოძრაობას“ 15% შეეძლო მიეღო.

უცნაური ის არის, რომ მაშინდელი ოპოზიციის ნაწილი 7 ნოემბრის დარბევის გამო პასუხისმგებლობას ბურჯანაძეს რომ სთხოვდა, ამ დროს 26 მაისის გამო დავით ბაქრაძისთვის პასუხი არ მოუთხოვია. ამის მიუხედავად, ბურჯანაძე ითხოვს სამართალდამცავი ორგანოებისგან და ასევე პარლამენტში სამომავლოდ შექმნილი საგამოძიებო კომისიისგან შესწავლილ იქნეს როგორც 7 ნოემბრის, ასეევ პოლიციის სამმართველოსთან 6 მაისს მომხდარი სისხლიანი დაპირისპირება და რა თქმა უნდა, 26 მაისის მოვლენები. ბურჯანაძე მზად არის მისცეს განმარტება ამ პროცესებთან დაკავშირებით. ახალი ხელისუფლებისთვის სერიოზული ტესტი იქნება ამ დარბევების ობიექტურად გამოძიება, არც სამართლიანობის აღდგენის საქმეს დაეხმარება. ბურჯანაძემ 2009 წლის 9 აპრილს აქციაზე მისულ მოქალაქეებს ბოდიში მოუხადა იმის გამო, რომ 7 ნოემბერს ვერ მოერია სააკაშვილს.

ემოციები პოლიტიკაში დღეს უკვე წამყვან პოზიციაზე აღარ არის, ივანიშვილმა ემოციების ნაცვლად პრაგმატული პოლიტიკა აირჩია, ზუსტად ასევე პრაგმატულ პოზიციაზეა ბურჯანაზეც, მისი პოლიტიკაც პრაგმატულია და შედეგზე ორიენტირებული. ამიტომ ინარჩუნებდა ის დუმილს ამ ასი დღის განმავლობაში. „დემოკრატიული მოძრაობის“ აქტივისტებმა რაიონებში ადგილებზე დიდი დახმარება გაუწიეს ქართულ ოცნებას წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ესეც ადასტურებს იმ პოზიციის სისწორეს რომ მაშინდელ ოპოზიციას ხმაშეწყობილად უნდა ემოქმედა ერთიანი ფრონტით ნაცმოძრაობის წინააღმდეგ.

ამ ეტაპზე პოლიტპატიმრებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა „დემოკრატიული მოძრაობის“ სამომავლო გეგმები, ახლა როცა სხვა შედეგი დადგა და პოლიტიკური რეალობა ჰუმანური პოლიტიკური ძალების სასარგებლოდ შეიცვალა, ყველა პოლიტიკური პარტია თანაბარ პირობებში განახორციელებს საარჩევნო კამპანიას, „დემოკრატიული მოძრაობა“ მშვიდ გარემოში მიიღებს მონაწილეობას ყველა დონის არჩევნებში.

ნაცმოძრაობის მხარდამჭერი მედია საშუალებები ვალერი ხაბურძანიას პოლიტიკურ პერსპექტივებზე ამახვილებენ ყურადღებას და აცხადებენ, რომ ხაბურზანია რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ფილიალს საქართველოში ქმნის, რომელიც ბურჯანაძეს დაეხმარება საპრეზიდენტო არჩევნებში. „ახალი თაობა“ დაუკავშირდა ბურჯანაძის ოფისს, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ამ თემაზე კომენტარზე უარი განაცხადა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ბაკურ ბაკურაძის განმარტებით კი ეს სრული სიყალბეა.

„თუ ხაბურზანია რუსეთში ვანო მერაბიშვილს ლობირებდა, ის ახლა ბურჯანაძეს ლობირებს? სად არის ლოგიკა? ამაზე კომენტარიც ზედმეტია. ჯერ ვაჟბატონმა ხაბურზანიამ დაგვიდასტუროს, რომ ბურჯანაძე პრორუსული პოლიტიკოსია. როგორ მოვიქცეთ ახლა, რაკი სააკაშვილი ირანის პრეზიდენტს შეხვდა, ვთქვათ, რომ ის პროირანული პოლიტიკოსია ან როცა სააკაშვილი პუტინს შეხვდა პირველად და აღფრთოვანდა როცა თვალებში ჩახედა, ვთქვათ, რომ სააკაშვილი პრორუსულია? გახსნან „დემოკრატიული მოძრაობის“ საიტი და ნახონ საგარეო მიმართულებები ჩვენი პოლიტიკური ძალის, როგორი იქნება ჩვენი საგარეო ვექტორი, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ეს არის პროქართული ძალა, რომელიც ითანამშრომლებს ყველა იმ პარტიასთან, რომელიც დაიცავს მხოლოდ საქართველოს ინტერესებს“ – აცხადებს ბაკურაძე.

# ვინ არიან სკაუტები

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ბადენ პაუელი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც სკაუტური მოძრაობა შექმნა და საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ასეთი ტიპის მოძრაობებს. ბადენ პაუელი სამხედრო განათლების მქონე ადამიანი იყო და ოფიცრებს ასწავლიდა არა მარტო პროფესიულ საკითხებს, არამედ სიმამაცეს, გულისხმიერებასა და გამძლეობას.

ბადენ პაუელი იდეურად თავიდან პროპაგანდას უწევდა კარავულ მოგზაურობას, ლაშქრობებსა და ღია ცეცხლზე საჭმლის მომზადებას, ხოლო 1907 წელს რომელიც ბრიტანეთის კუნძულ ბრაუნსზე სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლისაგან დააკომპლექტა ბანაკი, რომელიც 20 ვაჟისაგან შედგებოდა და ყველა პაუელის მეგობრების შვილები იყვნენ.

ბანაკში ყოველდღიურად გონებას ავარჯიშებდნენ დაკვირვებულობაში, კრავდნენ საზღვაო კვანძებს, სწავლობდნენ კოცონის დანთებას ერთი ასანთის ღერით, ვარჯიშობდნენ ხანძრის ჩაქრობაში, ისმენდნენ საინტერესო ამბებს ცხოვრებაზე, მოგზაურობაზე, თავგადასავლებზე. ბანაკში ყოველდღე ტარდებოდა სპორტული თამაშობები. ყოველი საღამო სრულდებოდა კოცონთან საინტერესო ამბების თხრობითა და სიმღერებით.

დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შეძენის გარდა პაუელი ცდილობდა, რომ ბიჭებისთვის შეეთვისებინა საკადრისი ღირსების, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც ბანაკის ჰარმონიულობას უწყობდა ხელს. სწორედ ეს პირველი ბანაკი გახდა სკაუტური ცხოვრების წესის განმსაზღვრელი. ბი-პიდ წოდებულ პაუელს 1920 წელს ლონდონის საერთაშორისო სკაუტურ ფესტივალზე მსოფლიო სკაუტთა ლიდერად ირჩევენ. ამის შემდეგ მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყანაში დაიწყო სკაუტური მოძრაობის განვითარება და ძირითადად გულისხმობს ჯანსაღი წესის დამკვიდრებას საზოგადოებაში.

ტრადიციულად, 22 თებერვალი, ბადენ პაუელის დაბადების დღე, მილიონობით სკაუტის მიერ ყოველწლიურად აღინიშნება როგორც სკაუტინგის მსოფლიო დღე, ხოლო 1 აგვისტოს (პირველი სკაუტური ბანაკის დაწყების დღეს) მსოფლიოს ყველა სკაუტი აღნიშნავს სკაუტინგის დაბადების დღეს მზის ამოსვლის ცერემონიით. საქართველოში სკაუტური მოძრაობა თავადი ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული და პირველი საკუტები გაჩნდნენ ბათუმში (ჭიჭინაძე, ბარათაშვილი და აბაშიძე). გასაბჭოების შემდეგ საქართველოში და საერთოდ სსრკ-ში აიკრძალა სკაუტიზმი, როგორც იდეოლოგიურად მიუღებელი და ,,მავნე“ მოძრაობა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა საქართველოს სკაუტური მოძრაობის საინიციატივო ჯგუფი სანდრო ურუშაძის ხელმძღვანელობით. საინიციატივო ჯგუფის წევრები იყვნენ ანდრო დგებუაძე, მზია აფრიდონიძე, ვახტანგ ახალაძე. 1993 წლის აგვისტოში ჩატარდა საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელმაც საქართველოს სკაუტური მოძრაობის პირველ პრეზიდენტად აირჩია ანდრო დგებუაძე. 1994 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით მოხდა საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის რეგისტრაცია. ქართველი სკაუტურების პირველი მხარდამჭერები იყვნენ ფრანგი სკაუტები. ამჟამად ქართული სკაუტური მოძრაობა აერთიანებს აჭარის, ქვემო ქართლისა და თბილისის ორგანიზაციებს და კვლავ ახორციელებს ძირითადად არაფორმალური განათლების გზით მოზარდი თაობისა და ახალგაზრდების განვითარებას.

თუმცა ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სკაუტები“ ახორციელებს „მცირე ბიზნესის განვითარების პროექტს“ დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის (ბაქო-სუფსის) მარშრუტისთვის. პროექტი ინიცირებული და დაფინანსებულია ბრიტიშ პეტროლიუმისა და მისი პარტნიორების მიერ საქართველოს მილსადენის კომპანიის ფარგლებში.

აღნიშნული პროექტის მიზანია დასავლეთის მიმართულების (ბაქო-სუფსის) საექსპორტო მილსადენის გასწვრივ მდებარე თემების კეთილდღეობის გაუმჯობესება ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობის გზით, რაც თავის მხრივ დაეხმარება ბიპი-სა და თემებს შორის ურთიერთკეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.მცირე ბიზნესის წარმოშობა-წახალისების მიზნით ,,საქართველოს სკაუტებმა“ გამოაცხადეს ბიზნეს-გრანტების კონკურსი.

როგორც უკვე გაჟღერდა, პროექტის 116 სამიზნე სოფელში მცხოვრები 275 პიროვნების ბიზნეს-პროექტი დაფინანსდება 1200 დოლარის ექვივალენტით ლარებში (დაახლოებით 1580 ლარი საშემოსავლო დაბეგვრის გათვალისწინებით).

დაფინანსებას მიიღებს აპლიკანტი მხოლოდ საგრანტო პროგრამით მაშინ, თუ დაფინანსებული ბიზნესი უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ სამიზნე სოფლებში. პროექტის ფარგლებში გრანტები გაიცემა მხოლოდ ახალი ბიზნესის წამოწყების მხარდასაჭერად და არავითარ შემთხვევაში არ იქნება დაფინანსებული უკვე არსებული ბიზნესი.

კონკურსი უკვე დაიწყო და მისი პირველი ეტაპი დასრულდება მარტის დასაწყისში, შემდეგ ყოველი თემიდან შერჩეული 5 საუკეთესო პროექტი გადავა საკონკურსო მეორე ეტაპზე, საბოლოოდ კი თემში მინიმუმ 1-2 დაფინანსება განხორციელდება. ჯამში 275 გამარჯვებული 264 ათას დოლარს მიიღებს, ეს უკვე სერიოზული დაფინანსებაა ისეთი ქვეყნის მოსახლეობისათვის, როგორიც საქართველოა.

გამარჯვებული პირების ბიზნესიდეის განხორციელებას სკაუტური ორგანიზაცია გაუწევს მონიტორინგს და არა კონტროლს.

# გურამ ოდიშარია ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მოადგილეს შეხვდა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მინისტრი გურამ ოდიშარია შეხვდა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილეს გაბრიელა ბატაინი დრაგონის. შეხვედრაზე განხილულ იქნა ევროპის საბჭოსა და საქართველოს შემდგომი თანამშრომლობის საკითხები. შეხვედრას ესწრებოდნენ ევროპის საბჭოს პოლიტიკური დირექტორი ალექსანდრე გიოსელი, ევროპის საბჭოს პროგრამების დირექტორი ვერენა ტეილორი, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი კატარინა ბოლონეზე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში მამუკა ჟღენტი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, მინისტრის მრჩეველი ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და ქართული კულტურის პოპულარიზაციის სამმართველოს უფროსი ნინო ჯაიანი.

ვიზიტის ფარგლებში გაბრიელა დრაგონიმ დაგეგმა შეხვედრები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, იუსტიციის მინისტრთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან, განათლების მინისტრთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან, სახელმწიფო მინისტრთან რეინტეგრაციის საკითხებში და სახალხო დამცველთან.

როგორც კულტურის სამინისტროში დაგეგმილი შეხვედრის დასრულების შემდეგ გურამ ოდიშარიამ განაცხადა, შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოს კულტურის განვითარებაზე. ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს კულტურის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი გამოცდილება გააცნეს.

– გვეწვია ძალიან წარმომადგენლობითი დელეგაცია ევროსაბჭოდან ქალბატონი გაბრიელა დრაგონის ხელმძღვანელობით, იყო რამდენიმე დირექტორიც. ევროსაბჭოს დელეგაცია ახალ მთავრობას ეცნობა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებს ადგენს. მქონდა პატივი, რომ ორიოდე თვის წინ შევხვედროდი სტრასბურგში და ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრა. კულტურა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენ ვესაუბროთ იმ ხალხს, რომლებთანაც კონფლიქტი ჯერჯერობით ვერ მოვაგვარეთ, ვესაუბროთ მსოფლიოს და რაც მთავარია, ასევე ველაპარაკოთ ერთმანეთს. მათ საინტერესო წინადადებები შემოგვთავაზეს, მოგვცეს რჩევები, რომ ეს რჩევები გამოვიყენოთ, მათ აქვთ რამდენიმე პროგრამა, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, რათა უფრო ეფექტური გავხადოთ ჩვენი კულტურული ცხოვრება და კულტურა და ხელოვნება დავიმგზავროთ ჩვენი ურთულესი და ძველი პრობლემების მოსაგვარებლად, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან გაბრიელა დრაგონიმაც ისაუბრა:

–მომეცა საშუალება გურამ ოდიშარიას შევხვედროდი. კულტურის მინისტრთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი და დროული იყო. საქართველოს დემოკრატიის განვითარების პროცესში კულტურას უდიდესი როლი აკისრია. კულტურის განვითარების მეშვეობით შეგვიძლია ძალიან მარტივად მივაღწიოთ დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობას და ეს საკმაოდ მარტივად მოხდება, თუკი თითოეული ადამიანი ჩაერთვება ამ პროცესში. კულტურულ ღონისძიებებში საერთო აქტიურობა ყველაზე ეფექტურია. შეხვედრაზე ასევე ვისაუბრეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, რომელიც ფუნდამენტური ნაწილია ქვეყნის კულტურული განვითარებისა. აუცილებლად გავაგრძელებთ ამ კუთხით აქტიურ მუშაობას. ჩვენ განვაგრძნობთ შეხვედრებს და საქართველოსთან რეგულარული ურთიერთობა გვექნება, – აღნიშნა გაბრიელა დრაგონიმ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მოადგილესთან შეხვედრამდე ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ივან იესტრჟაბს შეხვდა. გამართული ოფიციალური შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა. მხარეებმა მომავალი ურთიერთობებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს.

# ქარვასლაში „სპორტული რეპორტაჟია“ გამოფენილი

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში ალექსანდრე კოტორაშვილის გამოფენა „სპორტული რეპორტაჟი“ გაიხსნა. გამოფენა მიეძღვნა ქართველი პროფესიონალი ფოტოგრაფის, ქართულ სივრცეში სპორტული მატიანეს ერთ-ერთი ავტორის ალექსანდრე კოტორაშვილის 70 წლის იუბილეს.

– ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტონამუშევრები პროფესიონალი ოსტატის თვალით დანახულ სპორტის სამყაროს ასახავს, სადაც ნათლად ჩანს მოძრაობისა და აზარტის, შეჩერებული წამის დინამიკა, სამყარო, სადაც სპორტს ემოციური და სულიერი გარდატეხები მოაქვს ადამიანების ცხოვრებაში. გასული საუკუნის 60-იან წლებში ალექსანდრე კოტორაშვილი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, ასევე სპორტული პროფესიული ჟურნალის „მართვეს“ კორესპონდენტად მუშაობდა. 70-ანი წლებიდან დღემდე, იგი არის გაზეთის, „ლელოს“ კორესპონდენტი. ალექსანდრე კოტორაშვილი დაჯილდოებულია ღირსების მედლით, ღირსების ორდენით, მიენიჭა სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება, არის ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი და მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა პრემიის ლაურეატი. ალექსანდრე კოტორაშვილი მრავალი გამოფენების, ფოტოკონკურსების მონაწილე და გამარჯვებულია თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, გერმანიაში, პოლონეთსა და იაპონიაში. ეს გამოფენა 28 თებერვლამდე გასტანს, – აღნიშნა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში წარმოდგენილია ქართველ მხატვართა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თაობის, 70-ანელთა წარმომადგენლის ომარ კაჭკაჭიშვილის გამოფენას „პოპ-არტი, ფერწერა“.

– ომარ კაჭკაჭიშვილი სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის, უჩა ჯაფარიძის სახელოსნოს კურსდამთავრებული და პოპ-არტის ოსტატია. ომარ კაჭკაჭიშვილის შემოქმედება საკმაოდ მრავალფეროვანია. გამოფენაზე წარმოდგენილია ძველი თბილისის პეიზაჟები, „ქალაქური პეიზაჟი“, „ზამთარი“, „კოშკი ძველი თბილისის თემაზე“, აგრეთვე ცნობილი სერიები და სხვა ნამუშევრები. მხატვარი 1964 წლიდან მონაწილეობს ფესტივალებსა და საერთაშორისო გამოფენებში რუსეთში, გერმანიაში, ლიტვაში, უნგრეთში, ბელგიაში, ესპანეთსა და ავსტრიაში. მისი პერსონალური გამოფენა თბილისში არასდროს გამართულა და თბილისის ისტორიის მუზეუმმა ინიციატივას გამოიჩინა, წარმოედგინა მხატვრის შემოქმედება სრულად. ომარ კაჭკაჭიშვილის ნამუშევრები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში, მოსკოვის აღმოსავლეთის მუზეუმში, უკრაინის ფეოდოსიის სახელმწიფო მუზეუმში, თურქეთის, იტალიის, კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ავსტრიის, ჩეხეთისა და გერმანიის კერძო კოლექციებში. გამოფენა 10 მარტამდე გაგრძელდება, – ამბობს ანა ვერულაშვილი.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით იმართება აზერბაიჯანული ხალიჩებისა და გობელენების გამოფენა.

– მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის ორგანიზებით, პროექტი ითვალისწინებს ხელით ნაქსოვი აზერბაიჯანული ტრადიციის შენარჩუნება-განვითარებას, ხალიჩების ტექნოლოგიის შესწავლის მიზნით წრეების შექმნას, სადაც ამ ხელსაქმის მცოდნეები ახალგაზრდებს შეასწავლიან ხელით ნაქსოვი ხალიჩებისა და გობელენების ქსოვას, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ამ ტრადიციის შენარჩუნებას. წრეებში გაერთიანებული ჯგუფები ეუფლებიან აზერბაიჯანული ხალიჩის ხელით ქსოვის ისტორიას, ძაფის მიღება-შეღებვის ტექნოლოგიას, დაზგა-დანადგარზე მუშაობის სპეციფიკას. ქვემო ქართლის სკოლებში, მოსწავლეები ეცნობიან ქსოვის პროცესს, ქმნიან ორნამენტების ნიმუშებს გობელენის სახით, ამზადბენ ხალიჩებს და გობელენებს, – აღნიშნავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.

# ექვთიმე ღვთისკაცის იუბილეზე მსვლელობა მოეწყობა

ეკა ირემაშვილი

21 თებერვალს ექვთიმე თაყაიშვილი-ღვთისკაცის დაბადებიდან 150 და გარდაცვალებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მსვლელობა მოაწყობა. მსვლელობა ექვთიმე ღვთისკაცის გარდაცვალების დღეს შედგება და დაიწყება მისი სახლიდან, ვაშლოვანის ქუჩა №6, სადაც ამჟამად ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდი ფუნქციონირებს და დასრულდება მთაწმინდის პანთეონში, სადაც ჩატარდება პანაშვიდი.

როგორც საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაშია აღნიშნული, ექვთიმე თაყაიშვილს ღვაწლზე ისაუბრებენ სასულიერო, საერო პირები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ირაკლი ღარიბაშვილი.

მსვლელობა გაიმართება თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის და ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდის ორგანიზებით. მსვლელობაში მონაწილეობას მიიღებენ თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მკითხველები, სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ექვთიმე-ღვთისკაცის სახელობის ტაძრების მრევლი და სასულიერო პირები.

21 თებერვალს 14 საათზე დაიწყება მსვლელობის მონაწილეთა შეკრება რამდენიმე ადგილას, მათ შორის, ვერის ბაღში ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლთან. მსვლელობაში მონაწილეობას მიიღებენ საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი, თბილისის სკოლები, ექვთიმე-ღვთისკაცის სახელობის ტაძრების მრევლი, სასულიერო სემინარია,




სასულიერო პირები, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები, ჩოხოსნები და მგალობლები.


## SMS-განცხადებები – 3090

● ვყიდი მუხრან-თელეთში ახალაშენებულ (გასაკეთებელია სველი წერტილი) 276 კვ. მეტრის საცხოვრებელ სახლს, მონტერეის გადახურვით, მეტ. პლასტმასის კარფანჯრებით, რკინის ჯალუზებით, საკ. წყლით, ბუნებრივი აირით, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით. სხლი მდებარეობს თბილისიდან 22კმ-ში. ფასი 30000 დოლარი. 15000 დოლარი ხელზე და 15000 დოლარი განვადებით. ტელ.: 577424122. 599722748. გია.

## განცხადებები

● იყიდება ინვალიდის ეტლი იდეალურ მდგომარეობაში. ფასი 200 ლარი. ტელ: 577-48-50-48 ნაზი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# მესუთ იოზილი მენდი კაპრისტოს გვერდით შენიშნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

***– იმის შესახებაც იყო საუბრები, რომ თქვენ „რეალში" თავს კომფორტულად ვერ გრძნობთ და „მანჩესტერ იუნაიტედი" გეპატიჟებოდათ.***

– არა, „რეალიდან" აბარგებაზე ერთი წამითაც არ მიფიქრია და რომც ვიფიქრო, სად წავიდე ამაზე უკეთეს ადგილას? გაქცევა არ მჩვევია და ეს არცაა საჭირო. მადრიდი ძალიან კარგი ქალაქია, სადაც თავს ჩინებულად ვგრძნობ. მყავს მეგობრები და მწვრთნელი მენდობა – რა უნდა უნდოდეს მეტი ფეხბურთელს? თუ საშუალება იქნება, კარიერას სწორედ აქ დავასრულებ.

***– წელს პრიმერაში „ბარსელონა" ძალიან დიდი უპირატესობითაა წინ თქვენს გუნდზე. რა დაემართა ესპანეთის მოქმედ ჩემპიონს?***

– ამ სეზონში მართლაც ბევრი შეცდომა დავუშვით, სუსტ გუნდებთან საკმარისზე ბევრი ქულა დავკარგეთ, რითაც „ბარსელონამ" კარგად ისარგებლა. თუმცა ჩვენ დანებებას არ ვაპირებთ და შესაძლოა, პრიმერა ველარ მოვიგოთ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე ხომ გვაქვს შანსები? გვაქვს!

***– გერმანული კლუბებიდან რომელია უფრო სახიფათო: „ბაიერნი" თუ „დორტმუნდი"?***

– „რეალში" ყველა აღიარებს, რომ გერმანულ კლუბებთან თამაში ძალზე ძნელია. ჩემი აზრით კი, ჩემპიონთა ლიგის მოგება „ბაიერნსაც" და „დორტმუნდსაც" შეუძლია. ფაქტი კი ისაა, რომ ჩვენ არც ერთის შეგვეშინდება და არც მეორესი – ნებისმიერ გუნდს ბოლომდე შევაკლავთ თავს.

***– რა უფრო რეალურია: გერმანიის ნაკრების 2014 წელს მსოფლიოს გაჩემპიონება თუ რეალისთვის წელს ლიგის პირველი ადგილი?***

– ვერ გეტყვით! ვფიქრობ, რომ მაინც ორივე რეალურია: მადრიდული გრანდიცა და ბუნდესმანშაფტიც დიდ ტიტულებთან მუდამ ახლოს არიან ხოლმე და ისე კი, მუნდიალზე ჯერ ნუ ვისაუბრებთ, ძალიან ადრეა.

***– თქვენი ნაკრების თავკაცმა იოაჰიმ ლიოვმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში ლიდერობა განდოთ. ლიონელ მესი არ გაუგია?***

– რა თქმა უნდა, გაუგია, მაგრამ ჩემს შესაძლებლობებშიც არ ეპარება ეჭვი.

***– არჩევანში ეთანხმებით?***

– გერმანიის ნაკრების მწვრთნელს არასდროს არ უნდა შეეკამათო! რა თქმა უნდა, მესი გენიალური ფეხბურთელია, მაგრამ რა შემიძლია, ეს მეც არაერთხელ მაქვს დამტკიცებული. მსოფლიო გრანდის ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობ და რასაკვირველია, რომ საუკეთესოობა მინდა – მჯერა, ამას შევძლებ.

***– სამეულის თქვენეული ვერსია შემოგვთავაზეთ.***

– ეგოისტობაში არაფერი ჩამეთვალოს და მოდი, თავს შევიკავებ.

***– სრულყოფილი ფეხბურთელი ხართ?***

– არა!

***– კიდევ რა უნდა გააუმჯობესოს მესუთ იოზილმა?***

– გამთამაშებლის უპირველესი მოვალეობა პასებით მომარაგებაა, რასაც კარგად ვართმევ თავს და პრიმერაში ზედიზედ ორჯერ გავხდი საუკეთესო ასისტენტი, თუმცა გოლების გატანაც მინდა, მაგრამ 2012 წელს გერმანიის ნაკრებში ყველაზე მეტი გავიტანე.

***– „რეალში" ჯარიმებსაც ხშირად ასრულებთ.***

– ჰო, მე და კრიშტიანუ რონალდუ ვასრულებთ ხოლმე სტანდარტებს.

***– საინტერესოა, როგორ წყვეტთ, ვინ დაარტყამს ამა თუ იმ მომენტში?***

– ვინც უფრო უკეთეს ალლოზეა, ის.

***– ისე, რონალდუ ყოველთვის კარგ ხასიათზეა, მაგრამ არც იმ პიროვნებას ჰგავს, რომელიც რამეს დაგითმობს. აბა, ჯარიმებს როგორღა ურტყამთ?***

– მარჯვნიდან ჯარიმები ჩემია, მარცხნიდან – რონალდუსი.

***– გასახდელში რონალდუ სარკეში მართლაც დიდხანს იხედება?***

– არც ისე ხშირად, როგორც ეს ზოგ-ზოგიერთებს ჰგონიათ.

***– ამას ყველაზე ხშირად რომელი რეალელი აკეთებს?***

– მე არა!

***– რას ნიშნავს თქვენთვის, რომ გქონდეთ კარგი სპორტული ტანი?***

– მე მარტო „რეალს" კი არა, გერმანიის ნაკრებსაც წარმოვადგენ და მუდმივად ვცდილობ, კარგ კონდიციებში ვიყო.

***– სვირინგებს არა, მაგრამ საყურეებს კი ატარებთ. ეს ახალი მოდაა?***

– პირველად საყურე 14 წლის ასაკში გავიკეთე და თქვენ წარმოიდგინეთ, მშობლებს არაფერი უთქვამთ და მერე მეორე ყურიც გავიხვრიტე.

***– თქვენი ჩაცმის სტილი დაახასიათეთ.***

– ვფიქრობ, კარგად ვიცვამ და თანაც, ჩემი ჩაცმულობა მოდური და სპორტულია.

***– რომელი ფერი არ გიყვართ?***

– ყვითელი!

***– ნუ, გასაგებია... თქვენ ხომ ყოფილი შალკელი ხართ!***

– არა, რას ამბობთ, „დორტმუნდის" სიძულვილი არაფერ შუაშია.

***– რამდენად მნიშნელოვანია თქვენთვის იმიჯი?***

– რა თქმა უნდა, ყველგან იმას ვცდილობ, რომ ვიყო ისეთი, როგორიც ვარ. ბევრჯერ გამიგონია, ღრუბლებში არ დაფრინავ, რეალისტი ხარო და საბედნიეროდ, არავის უთქვამს, ამპარტავანი ხარო. ასევე ძალზე მნიშნელოვანია, რომ პატარა ბავშვებსაც მივცე მაგალითი.

# რატომ შეჩერდა ზესტაფონის ბაზის მშენებლობა

გასული წლის შემოდგომიდან, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" ბაზის მშენებლობა შეჩერებულია. მიზეზი კი, „ზესტაფონსა" და კომპანია „დომინუსს" შორის არსებული სასამართლო დავაა, რომელსაც წინ ამ კომპანიის თანამფლობელის, გიორგი გურულის განცხადება უძღოდა. გურული წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს წილების წართმევაში ადანაშაულებდა. მათ შორის „ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიასაც. საკითხში, დეტალურად გასარკვევად, „ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსმა, სერგო ფუტკარაძემ ისაუბრა.

სერგო ფუტკარაძე:

– ძალიან სამწუხარო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, მაშინ, როდესაც ჩვენი ქალაქისთვის ეპოქალური მნიშვნელობის მშენებლობა ამ მდგომარეობამდე მივიდა. მინდა მოგახსენოთ, გუნდი ბაზაზე მაინც ვარჯიშობს, ჩვენ იქ რამდენიმე მოედანი გვაქვს და ეს მშენებლობასთან დაკავშირებული კაზუსები, ნამდვილად არ შეხებია სპორტულ ნაწილს. რაც შეეხება მშენებლობას, ტრიბუნას და სასტუმრო კომპლექსს, მშენებლებთან, გარკვეული შეკითხვები დაგროვდა, კლუბმა მოიწვია ექსპერტიზა და დასკვნის შედეგად აღმოჩნდა, რომ „დომინუსს" მითვისებული აქვს 263.000 ლარი. რა თქმა უნდა, კლუბმა სათანადო ინსტანციებს მიმართა, ამ საქმის დარეგულირების მიზნით, ხოლო მეორე მხარემ, ძალიან ორიგინალური ხერხი გამოიყენა თავის დასაღწევად და არც მეტი არც ნაკლები, კლუბი, აპოლიტიკური, სპორტული ორგანიზაცია, დაადანაშაულა საკმაოდ ოდიოზურ პერსონებთან კავშირებში, მაშინ, როდესაც სამი თვის წინ, სწორედ ამ „დამნაშავე პერსონების" დაკვეთით, ასრულებდა სამშენებლო სამუშაოებს და მაშინ არანაირი პრეტენზია არ ქონია. მოკლედ ძალიან სასაცილო სიტუაციაა, ადამიანი ვალის თავიდან არიდების მიზნით სხვებს, რაღაც პოლიტიკურ ამბებში ადანაშაულებს.

# გიორგი ჯგერენაია: „შესაძლოა, ჩემი დრო ერთი წლის შემდეგ დადგეს"

ცოტა ხნის წინ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი გიორგი ჯგერენაია „გაგრადან" უკრაინულ „ილიჩივეცში" გადაბარგდა. გიორგი გუნდში ერთადერთი ქართველი არ იქნება – მას იქ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები, დავით თარგამაძე და თორნიკე ოქრიაშვილი დახვდნენ.

ჯგერენაიასთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– ცნობილი გამონათქვამია: საქართველოში ყველა ბიჭი ფეხბურთელობაზე ოცნებობს.




– ასეა და მეც 100 პროცენტით მესადაგება. საქართველოში ფეხბურთი უყვართ. სამწუხაროდ, ეროვნული ჩემპიონატი არცთუ მაღალი დონისაა და ყველა ძლიერ ფეხბურთელს უფრო პერსპექტიულ ქვეყანაში სურს წასვლა, სადაც უფრო მაღალ დონეზე შეეძლება თამაში.

– ფეხბურთში როგორ მოხვდით?

– 11 წლის ვიყავი, მშობლების უჩუმრად წავედი სავარჯიშოდ. თავიდან არ მომეწონა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ისევ მივედი და დავრჩი.

– გვიან შესულხართ ფეხბურთზე. თქვენი თანატოლები, ალბათ, უკვე 5 წლის განმავლობაში ერთად ვარჯიშობდნენ.

– ეს მხოლოდ პირველ წელს მეტყობოდა. მერე კი უკვე სხვებივით ვთამაშობდი.

– როგორი ფიქრები გქონდათ იმ დროს, უბრალოდ, ერთობოდით თუ თავის გამოჩენას ცდილობდით?

– თავიდან არც ვფიქრობდი, რომ ფეხბურთი ჩემი პროფესია იქნებოდა. უბრალოდ, იღბლიანად დაემთხვა. თავიდან რუსეთში დავდიოდი, სადაც მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი და როცა საქართველოში გადმოვედით, გუნდიც მოვნახე. იმ დროს ფეხბურთი მხოლოდ ჰობი იყო, აქცენტს სწავლაზე ვაკეთებდი. ერთხელ ფეხბურთის თამაშს თავი დავანებე კიდეც.

– რამ გამოიწვია ეს?

– დედა მუდამ მეუბნებოდა – ისწავლე. როცა 17 წლის გავხდი, ორი თვით შევეშვი ფეხბურთს. შემდეგ მწვრთნელმა დამირეკა და ვარჯიშზე მიმიწვია. ვიფიქრე, რამდენიმე კვირას ვივარჯიშებ და თუ ვერცერთ გუნდში ვერ მოვხვდები, მორჩა, მთლიანად სწავლაზე გადავერთვები. ერთ გუნდში მივედი გასინჯვაზე და არ ამიყვანეს, აი მეორეგან კი, მოვეწონე და მიმიღეს. კონტრაქტი გავაფორმე.

– ფეხბურთი რომ არა, სად გააგრძელებდით საქმიანობას?

– დედა მიიჩნევდა, რომ ჩემგან კარგი ექიმი-სტომატოლოგი გამოვიდოდა.

– რატომ? ოჯახის რომელიმე წევრია ამ პროფესიის?

– არა, უბრალოდ, მე მაინტერესებდა.

– თქვენ პირველი არ ხართ, ვინც „გაგრადან" გადმოვიდა „ილიჩივეცში".

– ვიცი. თორნიკე ოქრიაშვილი თამაშობდა „გაგრაში", თუმცა მე რომ მივედი, უკვე წასული იყო გუნდიდან. იყო ასევე გიორგი გაბედავა – ისიც „გაგრადან" მოხვდა „ილიჩივეცში".

– ხომ არ იცით, ახლა სადაა გაბედავა?

– საქართველოს ჩემპიონატს დაუბრუნდა და „ზუგდიდში" თამაშობს.

– „ილიჩივეცის" ფეხბურთელებთან მალე დაახლოვდით?

– გუნდში კარგი ატმოსფეროა, ბიჭები ვარჯიშებზე მეხმარებიან. უკრაინაში გაცილებით მაღალი დონეა, ვიდრე საქართველოში, ამიტომაც, თავიდან გამიჭირდა, მაგრამ თანდათან მივეჩვიე.

– „ილიჩივეცში" გუნდის „დამქოქავები" ვინ არიან?

– საშა ჩიჟოვსა და ლიოშა პოლიანსკი.

– ალბათ, ქართველებთან ყველაზე ხშირად კონტაქტობთ.

– დიახ. ოქრიაშვილთან და თარგამაძესთან.

– და ერთმანეთში რა ენაზე საუბრობთ?

– რა თქმა უნდა, ქართულად!

– ამჟამად თურქეთშია „გაგრას" პრეზიდენტი. ის თქვენს თამაშებს უყურებს. რჩევებს გაძლევთ?

– „ნასაფთან" თამაშის შემდეგ მოვიდა ჩემთან, მაგრამ მეძინა. შევთანხმდით, რომ მოგვიანებით ვისაუბრებდით. პრეზიდენტს მოსწონს მარიუპოლის გუნდი და სურს აქ დავმკვიდრდე.

– თავად როგორ ფიქრობთ, „ილიჩივეცში" გადმოსვლა წინგადადგმული ნაბიჯია თუ ტრამპლინი უფრო ძლიერ კლუბში წასასვლელად?

– სიმართლე გითხრათ, ორივე ვარიანტი შესაძლებელია. აქ გადმოსვლა დიდი ნაბიჯია, თუმცა ახლა საკუთარ თავს მეტს მოვთხოვ და უფრო წინ გავიხედები.

– მარცხენა მცველი ხართ, თუმცა მეორე შეკრებაზე მწვრთნელები ცენტრალურ მცველად გაყენებენ. რომელია თქვენთვის უკეთესი?

– მნიშვნელობა არ აქვს. თითქმის ყველგან მითამაშია. რუსეთში, ბავშვობისას მარცხენა ნახევარმცველი ვიყავი, საქართველოში კი თავიდან თავდასხმაში დამაყენეს. „გაგრაში" თავიდანვე მცველად გამამწესეს: ხან მარცხნივ, ხან ცენტრში. და თუ „ილიჩივეცში" კიდევ სხვა პოზიციაზე დამაყენებენ, უარს არ ვიტყვი.

– რა ნომრით ითამაშებთ?

– უკვე ავირჩიე 45 ნომერი. თავისუფალი იყო. თუმცა, რიცხვი 45 ჩემთვის არაფერთან ასოცირდება. ადრე, „გაგრაში" 22 ნომრით ვთამაშობდი, ნაკრებში – 17-ით.

– „ილიჩივეცთან" კონტრაქტი როდემდე გაქვთ?

– ნახევარწლიანი იჯარით.

– საქართველოს ნაკრებში როგორ გაქვთ საქმე?

– 19-წლამდელებში მიწვევდნენ და სხვადასხვა ტურნირებზეც მითამაშია. 21-წლამდელებშიც გამომიძახეს. აი, მთავარ ნაკრებში კი, ჯერ არა. საკმაოდ ახალგაზრდა ვარ. შესაძლოა, ერთი წლის შემდეგ მოვიდეს ამის დრო...

## შედეგები

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ა**

სიენა-ლაციო ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 17 | 4 | 4 | 50:17 | 55 |
| 2.ნაპოლი | 25 | 15 | 6 | 4 | 46:21 | 51 |
| 3.მილანი | 25 | 13 | 5 | 7 | 44:31 | 44 |
| 4.ლაციო | 25 | 14 | 5 | 7 | 35:29 | 44 |
| 5.ინტერი | 25 | 13 | 4 | 8 | 40:33 | 43 |
| 6.ფიორენტინა | 25 | 12 | 6 | 7 | 45:30 | 42 |
| 7.კატანია | 25 | 11 | 6 | 8 | 32:30 | 39 |
| 8.რომა | 25 | 11 | 4 | 10 | 51:45 | 37 |
| 9.უდინეზე | 25 | 9 | 9 | 7 | 35:34 | 36 |
| 10.პარმა | 25 | 8 | 8 | 9 | 31:33 | 32 |
| 11.ტორინო | 25 | 7 | 11 | 7 | 29:28 | 31 |
| 12.სამპდორია | 25 | 8 | 6 | 11 | 31:30 | 29 |
| 13.კიევო | 25 | 8 | 5 | 12 | 26:40 | 29 |
| 14.კალიარი | 25 | 7 | 7 | 11 | 28:41 | 28 |
| 15.ატალანტა | 25 | 8 | 5 | 12 | 22:35 | 27 |
| 16.ბოლონია | 25 | 7 | 5 | 13 | 33:35 | 26 |
| 17.ჯენოა | 25 | 6 | 7 | 12 | 26:37 | 25 |
| 18.სიენა | 25 | 7 | 6 | 12 | 27:34 | 21 |
| 19.პესკარა | 25 | 6 | 3 | 16 | 20:51 | 21 |
| 20.პალერმო | 25 | 3 | 10 | 12 | 22:39 | 18 |

*შენიშვნა:*

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანკტ პაული-კიოლნი ... 0:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

დიჟონი-მონაკო ... 0:2

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**

იგლზი-ოსი ... 2:2

დორდრეხტი-დენ ბოსხი ... 1:2

კამბური-ეინდჰოვენი ... 1:0

მაასტრიხტი-ვეენდამი ... 2:0

ჰელმონდი-გრააფსხაპი ... 2:2

ემენი-სიტარდი ... 3:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

რიუ ავე-ბრაგა ... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-პლატანიასი ... 1:3

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

სარანდი-რაფაელა ... 0:0

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

კოლორადო-ნეშვილი ... 6:5

მონრეალი-კაროლინა ... 3:0

ფლორიდა-ტორონტო ... 0:3

ფინიქსი-კალგარი ... 4:0

ანაჰაიმი-კოლამბუსი ... 3:2

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# „ნესტლეს" ხორცპროდუქტებში ცხენის ხორცი აღმოჩნდა

საკვების მწარმოებელი უდიდესი შვეიცარიული კომპანია „ნესტლეს" ხორცპროდუქტებში ჩატარებული ანალიზის შედეგად, მასში ცხენის ხორცი აღმოჩნდა. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება.

კომპანიის ინფორმაციით, ანალიზის შედეგად, იტალიისა და ესპანეთის სუპერმარკეტებიდან ამოიღეს საქონლის ხორცის ის ნახევარფაბრიკატები, რომელშიც ცხენის ხორცი აღმოჩნდა.

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ „ნესტლეს" პროდუქციაში ცხენის ხორცის შემცველობა მხოლოდ 1% იყო, თუმცა კომპანიამ მაინც მიიღო მათი გაყიდვიდან ამოღების გადაწყვეტილება.

„ბიბისის" ინფორმაციით, „ნესტლემ" გაყიდვიდან ამოიღო ორი სახის გაყინული პასტა – „რავიოლი" და „ტორტელინი". კომპანიის პრესმდივნის განცხადებით, ამოღებულ პროდუქტში აღმოჩენილ ცხენის ხორცს გერმანიიდან იძენდნენ. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში შემოწმდება საქონლის ხორცის შემცველობა სხვა პროდუქტებიც.

„ხორცის სკანდალი" ევროპაში რამდენიმე კვირის წინ აგორდა, როცა რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ირლანდიაში, ესპანეთში, იტალიაში, რუმინეთში გაყინულ ნახევარფაბრიკატებში საქონლის ხორცის ნაცვლად, ცხენის ხორცი აღმოაჩინეს.

„ნესტლე" შვეიცარიული ტრანსნაციონალური კომპანიაა, უმსხვილესი მსოფლიოში კვების პროდუქტების სფეროში. სათავო ოფისი მდებარეობს ქალაქ ვევეში. შემოსავლების თვალსაზრისით, „ნესტლე" მსოფლიოში პირველია კვების მრეწველობის კომპანიებს შორის.

„ნესტლეს" პროდუქცია მოიცავს ბავშვის საკვებს, ჩამოსხმულ წყალს, სწრაფი კვების პროდუქტებს, ყავას, საკონდიტრო ნაწარმს, ყოველდღიურ პროდუქტებს, ნაყინს, ცხოველთა საკვებს და ნამცხვრებს. ნესტლეს 29 ბრენდის წლიური გაყიდვები 1 მილიარდ შვეიცარიულ ფრანკს (1,1 მლრდ. დოლარი) აღემატება. კომპანია ფლობს 450 საწარმოს მსოფლიოს 86 ქვეყანაში, სადაც დასაქმებულია 328.000 ადამიანი. ამავე დროს, იგი მსოფლიოს უმსხვილესი კოსმეტიკური კომპანიის – ლორეალის ერთ-ერთი მთავარი მეწილეა.

„ნესტლე" ჩამოყალიბდა 1905 წელს, ძმები ჯორჯ და ჩარლ პეიჯების მიერ 1866 დაარსებული ანგლო-შვეიცარიული რძის კომპანიისა და ამავე წელს ანრი ნესტლეს მიერ დაარსებული რძის კომპანიის შერწყმის შედეგად. კომპანია მნიშვნელოვნად გაიზარდა პირველი მსოფლიო ომის დროს, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც გაფართოვდა მანამდე შეთავაზებული ძირითადად შედედებული რძისა და ჩვილთა კვების პროდუქტებისაგან შემდგარი ასორტიმენტი. კომპანიამ განახორციელა რამდენიმე კორპორაციული შენაძენი.

შვეიცარიის ბირჟის სიაში „ნესტლე" პირველ ადგილზეა. 200 მილიარდი აშშ დოლარიანი საბაზრო კაპიტალიზაციით, „ფაინეშლ თაიმს გლობალ 500-ის" შეფასებით, „ნესტლე" მე-13 ადგილზეა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# ევროვიზიისთვის კლიპი გადაღებულია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რის ლორენის „ეუფორია“, რომელმაც შარშან ბაქოში გამართულ 57-ე ევროფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა.

58-ე ევროვიზიის ქართველმა კონკურსანტებმა სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა საქველმოქმედო აქციაში მიიღეს მონაწილეობა. მათ იაშვილის ბავშვთა კლინიკაში ლეიკემიით დაავადებული პატარები მოინახულეს.

ნოდიკო ტატიშვილის და სოფო გელოვანის ევროვიზიის სასცენო დადგმაზე ცნობილი რეჟისორი ლაშა ონიანი მუშაობს. ის ასევე მუშაობდა სოფო ნიჟარაძისა და ანრი ჯოხაძის სასცენო დადგმაზე. ქართველი კონკურსანტების ჩაცმულობაზე კი დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე ზრუნავს.

სიმღერის ჩაწერის შემდეგ, მასზე კლიპის გადაღება დაიგეგმა. კლიპის გადაღებები ამ უქმეებზე კახეთში, კერძოდ კი წინანდალში ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმში მიმდინარეობდა. რომანტიკული სიყვარულის ისტორია ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმში იწყება. წინანდლის ძველი მარანი კლიპის რეჟისორმა გადასაღებ მოედნად აქცია. ვიდეორგოლის მთავარმა გმირებმა – ევროვიზიის ქართველმა კონკურსანტებმა საკონკურსო სიმღერის გადაღება აქ დაიწყეს. კლიპის მეორე ნაწილი დახურული სივრციდან ულამაზეს ბაღში ინაცვლებს. შეყვარებული წყვილი ერთმანეთს ლაბირინთში ეძებს. „ვოთერფულ“ ლირიკული ბალადაა, რომელშიც აქცენტი ხმის ტემბრზე კეთდება. დარჩენილია რამდენიმე კადრის გადაღება, რომელიც თბილისშია დაგეგმილი. ლოკაციის მეორე ადგილი თბილისი იქნება. გადაღებებისთვის გამოყენებული იქნება თავდაცვის სამინისტროს ვერტმფრენი, კლიპის ფინალური სცენების გადაღება კი დარბაზში დასრულდება. მთლიანობაში გადაღებები უკვე დასრულებულია, ამიტომაც სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ კლიპის გადასაღები მოედნიდან ფოტოები გავრცელდა. კლიპის რეჟისორი საზოგადოებრივი მაუწყებლის რეჟისორი თემურ კვირკველიაა. მას ეკუთვნის საბავშვო ევროვიზიაზე წარდგენილი ქართველი კონკურსანტების ჯგუფის „ფანქიდს“ კლიპიც. სოფო გელოვანისა და ნოდიკო ტატიშვილის ჩაცმულობაზე ავთანდილ ცქვიტინიძემ იზრუნა. კლიპი მარტის შუა რიცხვებიდან ჯერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, შემდეგ კი ევროვიზიის მონაწილე ქვეყნებში გამოჩნდება. ნოდიკო ტატიშვილისა და სოფო გელოვანის დუეტს ევროპელი მაყურებელი ევროვიზიის კონკურსამდე ამ კლიპის საშუალებით შეაფასებს. უკვე დადგენილია, რომ საქართველოს წარმომადგენლები წლევანდელ ევროვიზიაზე მეორე ნახევარფინალურ საღამოზე 16 მაისს იმღერებენ და ევროპის წინაშე მეთოთხმეტე ნომრად წარსდგებიან. წელს კონკურსში 39 ქვეყანა მონაწილეობს, მათი თანმიმდევრობა და სცენაზე გამოსვლის რიგითობა კენჭისყრის შედეგად გაირკვა. წლევანდელი კონკურსანტები კი ასე გადანაწილდნენ. 14 მაისს პირველ ნახევარფინალში 16 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას: დანია, ხორვატია, უკრაინა, ნიდერლანდები, ავსტრია, სლოვენია, ესტონეთი, რუსეთი, ლიტვა, სერბეთი, ირლანდია, ბელორუსი, კვიპროსი, მონტენეგრო, ბელგია და მოლდოვა. 16 მაისს მეორე ნახევარფინალში – 17 ქვეყანა: ლატვია, აზერბაიჯანი, მალტა, ისლანდია, სან მარინო, მაკედონია, ფინეთი, ბულგარეთი, ისრაელი, ნორვეგია, ალბანეთი უნგრეთი, შვეიცარია, საქართველო, საბერძნეთი, სომხეთი და რუმინეთი. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის წესის თანახმად, ფინალში ავტომატურად გადავლენ მასპინძელი ქვეყნის – შვედეთის (პირველი ნახევარფინალი) და „დიდი ხუთეულის“ გერმანიის (მეორე ნახევარფინალი), დიდი ბრიტანეთის (პირველი ნახევარფინალი), საფრანგეთის (მეორე ნახევარფინალი), ესპანეთისა (მეორე ნახევარფინალი), იტალიის (პირველი ნახევარფინალი) წარმომადგენლები. დანარჩენი ფინალისტების ვინაობა ნახევარფინალების შედეგად გამოვლინდება. ევროვიზიიის კონკურსების მმართველმა ორგანომ, ევროპის მაუწყებელთა კავშირმა კონკურსის პირობებში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს. ცვლილების თანახმად, წელს ევროვიზიის კონკურსანტების სცენაზე გამოსვლის რიგითობას შოუს პროდიუსერები განსაზღვრავენ. 2013 წლამდე ევროვიზიის კონკურსანტების სცენაზე გამოსვლის თანმიმდევრობა მარტში, დელეგაციების ხელმძღვანელების შეხვედრისას, კენჭისყრის შედეგად ირკვეოდა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ნახევარფინალებსა და ფინალს შვედეთის ქალაქი მალმე 14, 16 და 18 მაისს უმასპინძლებს.

– წელს ევროკლუბი მალმეს კეთილმოწყობილ უბანში განთავსდება, კონკურსის ორგანიზატორები კონკურსანტებს, დელეგაციებს, სტუმრებს, გულშემატკივარს ევროკვირეულის განმავლობაში უმასპინძლებენ. ევროკლუბი მალმეს ერთ-ერთ კეთილმოწყობილ უბანში სლაგტუსეტი განთავსდება, ხოლო ევროკაფე მორისკანში გაიხსნება. გადაწყვეტილების მიღებისას ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ სლაგტუსეტი და მორისკანი თანამედროვე ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი, რაც ღონისძიებების და რეპეტიციების გამართულად ტრანსლირებას განაპირობებს, – იუწყება ევროვიზიის ოფიციალური საიტი.

ევროპის მაუწყებელთა კავშირმა და 2013 წლის ევროფესტივალის მასპინძელმა მაუწყებელმა 58-ე კონკურსის ევროკვირეულის განრიგი გაახმოვანეს. 6 მაისს ევროკვირეული ევროკლუბის გახსნით დაიწყება. 9 მაისამდე ჩატარდება რეპეტიციები ნახევარფინალებისთვის დახურულ კარს მიღმა. ჟურნალისტებსა და ევროვიზიის გულშემატკივარს რეპეტიციებისთვის თვალის დევნება ევროკლუბში დამონტაჟებული მონიტორების საშუალებით შეეძლებათ. რეპეტიციების შემდეგ კონკურსანტები ევროკლუბში გადაინაცვლებენ, სადაც მასმედიის წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხებენ, გაიმართება ფოტოსესიაც. 10 მაისს პრესცენტრი მალმეს არენის მახლობლად გაისხნება. ევროპის მაუწყებელთა კავშირი და მასპინძელი მაუწყებელი პრესკონფერენციას გამართავენ. 10-დან 12 მაისამდე რეპეტიციების მეორე ტური გაიმართება და მედიის წარმომადგენლებს დასწრების შესაძლებლობა ექნებათ. რეპეტიციების შემდეგ კონკურსანტები 20-წუთიან პრესკონფერენციას გამართავენ, შედგება ინტერვიუები და ფოტოსესიები. 12 და 15 მაისს რეპეტიციებს გაივლიან „ევროვიზიის დიდი ხუთეულის ქვეყნები“ – საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და შვედეთი (მასპინძელი). 13-დან 18 მაისამდე გაიმართება კოსტიუმირებული რეპეტიციები, ნახევარფინალები და ფინალი.



საქართველოს მსგავსად უკვე გარკვეულია კონკურსში მონაწილე თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლის ვინაობა. ავსტრიის კონკურსანტი წლევანდელ ევროფესტივალზე ნატალია კელი იქნება. მომღერალი ეროვნული კონკურსის შედეგად გამოავლინეს. მისი მშობლები ამერიკელი და ბრაზილიელი, ხოლო ბებია ავსტრიელი არიან. ნატალია 18 წლის არის და ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა. მას ევროვიზიისთვის მზადება სწავლის პარალელურად მოუწევს. წელს ევროფესტივალზე იტალიას მარკო მენგონი წარადგენს. იტალიის კონკურსანტის ვინაობა 2013 წლის „სანრემოს“ ფესტივალის შედეგად გაირკვა. იტალიის საკონკურსო სიმღერა მოგვიანებით გახდება ცნობილი. მარკო მენგონი 24 წლისაა. 16 წლის ასაკში დიდ სცენაზე გამოვიდა და ფართო საზოგადოებამ გაიცნო. ის იტალიის ტალანტების კონკურსის „იქს ფაქტორის“ გამარჯვებული გახდა. „სანრემოს“ ფესტივალშიც ადრეც მონაწილეობდა და მესამე ადგილი დაიმსახურა. მან ორი ალბომი გამოუშვა, რაც რეკორდული რაოდენობით გაიყიდა. ის იტალიელ მომღერლებს შორის ერთადერთია ვინც სამი წლის წინ მადრიდში ემთივის დაჯილდოებაზე „საუკეთესო ევროპელი შემსრულებლის“ ტიტული დაიმსახურა. ლატვიას ჯგუფი „რეპ“ წარადგენს. გამარჯვებული ჯგუფი ლატვიელმა ხალხმა და ჟიურიმ ნაციონალური კონკურსის შედეგად გამოავლინეს. ჯგუფი 6 წლისაა, ის ევროვიზიის შიდაშესარჩევ კონკურსში გასულ წელსაც მონაწილეობდა და მეორე ადგილი დაიმსახურა. ტრიო „კასკადა“ წელს ევროვიზიაზე გერმანიას წარადგენს. გამარჯვებული გერმანიის ნაციონალურ ფინალზე 12 კონკურსანტს შორის გამოვლინდა. ნაციონალურ ფინალს 2011 წლის ევროფესტივალის ერთ-ერთი წამყვანი ენკე უძლვებოდა. კონკურსანტების გარდა მაყურებლის წინაშე წარდგნენ 2012 წლის ევროფესტივალის გამარჯვებული ლორენი და 2010 წლის ევროვიზიის გამარჯვებული ლენა. ხმის მიცემის პროცესი სამი ეტაპისგან შედგებოდა – ეყრდნობოდა მაყურებლისა და კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებას და ამასთან, რადიოჩარტების რეიტინგებს. ევროფესტივალზე გერმანიის წარმომადგენელი ტრიო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია, რომელიც დანცე-პოპ-ის სტილში მღერის. ჯგუფის 30 მილიონზე მეტი ჩანაწერი გაიყიდა. ტრიოს წევრები არიან: ნატალი ჰორლიერი, დიჯეი მენაიენი და ანოუ. ბელგიის წარმომადგენელი ევროფესტივალზე რობერტო ბელაროსაა, შვეიცარიის – ჯგუფი „ჰეილსარმი“. ლიტვას – ენდრიუს პოიავისია, ბულგარეთს – დუეტი. ბულგარეთის მაუწყებელმა გაახმოვანა, რომ 2013 წლის ევროვიზიის კონკურსზე ქვეყანას ელიცა ტოდოროვა და სტოიან იანკულოვი წარადგენენ. ელიცა ტოდოროვა და სტოიან იანკულოვი ევროვიზიის კონკურსზე 2007 წელსაც მონაწილეობდნენ და მეხუთე ადგილი დაიმსახურეს. ეს საუკეთესო შედეგი იყო, რაც ბულგარეთმა ევროვიზიის კონკურსებზე აჩვენა. ბულგარეთის საკონკურსო სიმღერას 3 მარტს, ეროვნული ფინალის შედეგად მაყურებელი და ჟიური ერთობლივად გამოავლენენ. ნორვეგიის რჩეული მარგარეტ ბერგერია. გამარჯვებული ფინალური კონცერტის 10 კონკურსანტს შორის, მაყურებლისა და ჟიურის გადაწყვეტილებით გამოვლინდა. ფინეთის წარმომადგენელი კრისტა საიეფრიდსია. გამარჯვებული ფინეთის ნაციონალურ კონკურსზე ჟიურიმ და მაყურებელმა ერთობლივად გამოავლინეს. ისლანდიის კონკურსანტი წელს ევროფესტივალზე ეიფორ ინგი განლაუგსონია. მომღერალმა ისლანდიის ნაციონალურ კონკურსზე შვიდ ფინალისტს შორის გაიმარჯვა. გამარჯვებული ისლანდიელმა ხალხმა და ჟიურიმ ერთობლივად გამოავლინეს. სლოვენიის კონკურსანტი 2013 წლის ევროფესტივალზე ჰანა მანჩინია, საკონკურსო სიმღერა კი 14 თებერვალს გახდება ცნობილი. ჰანა მანჩინი თანამშრომლობს რამდენიმე ევროპულ საპროდიუსერო კომპანიასთან. ის ბევრი სიმღერის ავტორი და შემსრულებელია, მსოფლიოს მასშტაბით არაერთ მუსიკალურ პროექტში იყო ჩართული, გამოდიოდა კონცერტზე, მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, რამდენჯერმე სტუმრობდა პოპულარულ ჯეი ლენოს შოუს, წამყვან მუსიკალურ პროდიუსერებთან ერთად, მუშაობდა „დისნეი ფილმზში“, ორი წლის წინ ის სლოვენიის ევროვიზიის შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილეობდა. სლოვენიის კონკურსანტი ევროვიზიის პირველ ნახევარფინალურ საღამოზე 14 მაისს იმღერებს. მალტას კონკურსანტი წელს ჯანლუკა ბეზინაა. მან მალტის შიდაშესარჩევი კონკურსის ფინალზე 16 კონკურსანტს შორის გაიმარჯვა. გამარჯვებული მაყურებელმა და ჟიურიმ ერთობლივად გამოავლინეს. უკვე გაირკვა კვიპროსის კონკურსანტის ვინაობაც. 58-ე ევროფესტივალზე კვიპროსს დესპინა ოლიმპიოუ წარადგენს. საკონკურსო სიმღერას ანდრის გიორგოლისი შექმნის, ტექსტის ავტორი კი ზენონ ზაინდაილისი იქნება. კვიპროსის მაუწყებელმა ევროფესტივალზე ქვეყნის წარმომადგენელი შიდაშესარჩევის შედეგად, კონკურსის გამოცხადების გარეშე დაასახელა. კვიპროსის კონკურსანტი ევროვიზიის პირველ ნახევარფინალურ საღამოზე 14 მაისს იმღერებს. სან მარინოს ისევ ვალენტინა მონეტა წარადგენს, ის ევროფესტივალში შარშანაც მონაწილეობდა. საკონკურსო სიმღერას რალფ სიეგელი შექმნის, ხოლო ტექსტის ავტორი მაურო ბელესტრი იქნება. ვალენტინა მონეტა მღეროდა სხვადასხვა ჯგუფებში. მას ეკუთვნის რამდენიმე ცნობილი სინგლი. ვალენტინა თანამშრომლობდა ბევრ ცნობილ მუსიკოსთან და ჯგუფთან. მონაწილეობდა სხვადასხვა პროექტებში. შარშან ევროვიზიაზე სან მარინოს კონკურსანტმა ნახევარფინალურ საღამოზე მეთოთხმეტე ადგილი დაიმსახურა. დანიის კონკურსანტი ემილი დე ფორესტია. გამარჯვებული კომპეტენტურმა ჟიურიმ და დანიელმა ხალხმა ფესტივალზე 10 კონკურსანტს შორის გამოავლინეს. დანიის კონკურსანტი ევროვიზიის პირველ ნახევარფინალურ საღამოზე 14 მაისს იმღერებს. გორ სიუანი წელს სომხეთს წარმომადგენელია. 25 წლის მომღერალი ჯგუფის სოლისტია. ის 2010 წლის ევროვიზიის კონკურსზე სომხეთის წარმომადგენელთან ევა რივესთან ერთად ბექ-ვოკალისტად გამოვიდა. ის სომხეთში ყველაზე პოპულარული როკმუსიკოსია, მას უნიკალური ხმა აქვს. ის ჯაზმენისა და გიტარისტის მკრტიჩ სიუანის შვილია. 2010 წელს გორ სიუანი სომხეთის ნაციონალური მუსიკის დაჯილდოებაზე საუკეთესო მომღერლად დაასახელეს. სომხეთის საკონკურსო სიმღერა ეროვნული კონკურსის შედეგად 2 მარტს გამოვლინდება. გორ სიუანი საკონკურსოდ წარდგენილ სიმღერებს შეასრულებს, რომელთაგან საუკეთესოს ჟიური და სომეხი ხალხი ერთობლივად გამოავლენენ. საფრანგეთის კონკურსანტი წელს ემენდინ ბოურგეოისია. მას დიდი გამოცდილება მუსიკალურ კარიერაში. გამოშვებული აქვს ორი ალბომი. მისი სიმღერები აერთიანებს პოპს, სოულს, ჟღერს როკის ელემენტები. საფრანგეთი ევროფესტივალის ხუთგზის გამარჯვებულია. გასულ წელს ქვეყანა ანგუნმა წარადგინა.

წლევანდელი ევროვიზიის სლოგანია – ჩვენ ერთნი ვართ! ლოგოტიპზე პეპელაა გამოსახული, კონკურსის თემა ევროპის ერთიანობის იდეას უკავშირდება. 58-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ლოგო და სლოგანი მასპინძელმა მაუწყებელმა გაახმოვანა. რიგით 58-ე ევროვიზიის წამყვანი შვედი იუმორისტი პეტრა მედეა. ის შვედეთში წარმატებული სახეა. მან პოპულარობა კომედიურ სატელევიზიო შოუებში მონაწილეობის შედეგად მოიპოვა. ის მოღვაწეობდა პარიზსა და სტოკჰოლმში. ოთხი წლის წინ ის შვედეთის საუკეთესო კომიკოს ქალად დაასახელეს, რადგან ის შესანიშნავი იუმორის გრძნობით არის დაჯილდოებული.

მიუნხენში გერმანიის ფარნკლუბის ორგანიზებით ევროვიზიის წვეულება გაიმართა. კონცერტს, რომელიც დისკოტეკით დასრულდა ევროვიზიის ორასზე მეტი გულშემატკივარი ესწრებოდა. ღონისძიებაზე სპეციალური სტუმრის სტატუსით იყვნენ მიწვეულები ევროფესტივალის გასული წლების მონაწილეები რალფ სიეგელი, პაშა პარფენი, ტომ დაისე, ფედერიკა დაიერი და სანდრა რიმერი.

**ეკა ირემაშვილი**



## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. შეუსაბამობა, უაზრობა, სისულელე; 2. ამერიკული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჟურნალი; 3. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 4. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 5. უზბეკეთის დედაქალაქი; 7. ღვინის მწარმოებელი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 11. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 13. ინგლისელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 15. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 16. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ძლიერ ფეთქებადი ჭურვი; 19. პოეტური ქმნილება.

**თარაზულად**: 6. სახელმწიფო ევროპაში; 8. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 9. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 10. რაიმეს შეცვლა, გარდაქმნა; 12. ფრანგი მწერალი; 14. ნახატი ზღვის ხედით; 17. მიწაში ბინადარი შხამიანი ობობა; 20. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 21. საჭადრაკო ამოცანა; 22. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 23. ქვიშიანი უდაბნო შუა-აზიაში.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჭყვიში; 2. დუკლა; 3. კუჭი; 5. ჭორფლი; 6. ზვარე; 7. ნოვაცია; 11. მონიკა; 13. კრიზისი; 14. ატილა; 15. ქაშვეთი; 16. ორაგული; 17. კოდაკი; 19. იასპი; 20. საბო.

**თარაზულად:** 1. ჭადრაკი; 4. ჭენჭი; 2. ჭაობი; 9. რომა; 10. ისლამი; 12. მარსელი; 14. ალია; 15. ქარაშოტი; 16. ოლიფა; 18. ნავთი; 21. დანია; 22. ლომბერი; 23. პიკნიკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პირმშო; 2. სამება; 3. მონცა; 5. ტიპი; 6. ცერული; 8. სტამპა; 11. მორჩილაძე; 13. შლაგერი; 14. ჩარდაში; 15. ბერბიჭა; 19. სუში.

**თარაზულად:** 1. პალიასტომი; 4. მაშტოცი; 7. რეზიუმე; 9. ცენტონი; 10. ამება; 12. ლიმონათი; 16. სამორინე; 17. გალიერა; 18. ედელვაისი; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

# 20 წლის ამერიკელი მკვლელი ბრეივიკს ეჯიბრებოდა

გასული წლის დეკემბერში „სენდი ჰუკის“ დაწყებით სკოლაში ბავშვების მასობრივი მკვლელობა, იყო მანიაკის პასუხი ნორვეგიელი ტერორისტის, ანდერს ბრეივიკის დანაშულზე, იუწყება ტელეარხი „სიბიეს ნიუსი“, გამოძიებასთან ახლო წყაროებზე დაყრდნობით.



მათი თქმით, 20 წლის ადამ ლანცა ბრეივიკში კონკურენტს ხედავდა და სასტიკი დანაშული მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ „ნორვეგიელი მსროლელისთვის“ მსხვერპლის ოდენობაში გადაჭარბება სურდა, რომელმაც კუნძულ უტოიაზე 2011 წლის ივლისში 77 ადამიანი მოკლა.

ადამ ლანცამ დაწყებითი სკოლა აირჩია როგორც „ადვილი სამიზნე ადამიანების დიდი რაოდენობით“. წყაროები არ აზუსტებენ, როგორ გაიგეს გამომძიებლებმა ლანცას სურვილის შესახებ შეჯიბრებოდა ბრეივიკს.

კონექტიკუტის პოლიციაში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

ტრაგედია ქალაქ ნიუთაუნის „სენდი ჰუკის“ დაწყებით სკოლაში 2012 წლის 14 დეკემბერს მოხდა. თავიდან ლანცამ სახლში მოკლა საკუთარი დედა ნენსი, შემდეგ ქალაქის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლისკენ გაემართა, სადაც გახსნა ცეცხლი, რომლის მსხვერპლი გახდა 6-7 წლის 20 ბავშვი და ექვსი უფროსი სასწავლო დაწესებულების პერსონალიდან. ამის შემდეგ ლანცამ თავი მოიკლა. მოგვიანებით გაირკვა, რომ დამნაშვე ფსიქიკურად გაუწონასწორებელი იყო. ის აუტიზმის ერთ-ერთი ფორმით, ასპერგერის სინდრომით იტანჯებოდა.

სასტიკმა მკვლელობამ აშშ-ში ფრთო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. ქვეყანაში იარაღის გაყიდვაზე წესების გამკაცრებას მოითხოვეს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# სერჟ სარგსიანი სომხეთის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს

სერჟ სარგსიანი სომხეთის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. სომხეთის პირველ პირს ამომრჩეველთა 59%-მა დაუჭირა მხარი. მის მეტოქეს რაფი ოვანესიანს კი 37%-მა.



„დღეს სომხეთის მომავალს – ჩვენი მოქალაქეებისა და ოჯახების კეთილდღეობას მივეცი ხმა“, – განაცხადა სერჟ სარგსიანმა ერევანში, არჩევნებში მონაწილეობის შემდეგ.

„ბიბისის“ ინფორმაციით, სომხეთის არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. საერთაშორისო დამკვირვებლები კი არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე განცხადებას დღეს გააკეთებენ. არჩევნებამდე არაერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ გამარჯვების რეალური შანსი სწორედ მოქმედ პრეზიდენტს ჰქონდა, ვინაიდან იმ კანდიდატებმა, რომლებსაც რეალური კონკურენციის გაწევა შეეძლოთ, გაურკვეველი მიზეზების გამო საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც სარგსიანმა გაიმარჯვა, პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკების ფონზე მიმდინარეობდა.

ინციდენტი უძღოდა წლევანდელ არჩევნებსაც – რამდენიმე კვირის წინ ერევანში, საკუთარი სახლის ეზოსთან, ცეცხლსასროლი იარაღით მხარში დაჭრეს პრეზიდენტობის კანდიდატი, ოპოზიციის ლიდერი პარუირ ჰაირიკიანი. თუმცა, ეს უკანასკნელი სიკვდილს გადაურჩა.

შეგახსენებთ, რომ 18 თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნებში შვიდი კანდიდატი მონაწილეობდა.

სერჟ სარგსიანი (დ. 30 ივნისი, 1954 სტეფანაკერტი, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რესპუბლიკა, აზერბაიჯანის სსრ, სსრკ) პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე 2007 წლის 26 მარტიდან მუშაობდა. პრემიერ-მინისტრად დანიშვნამდე, სარგსიანი სომხეთის თავდაცვის მინისტრი და ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე იყო. მან გაიმარჯვა 2008 წლის თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნებში სომხეთის რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერით, რომლის ხელმძღვანელი თვითონაა.

სომხეთის პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების გზით 5 წლის ვადით. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991 წლიდან) სომხეთს სამი პრეზიდენტი ჰყავდა.

# გაერო-ს მონაცემებით, 2012 წელს ავღანეთში მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლმა იკლო

გაერო-ს მონაცემებით, 2012 წელს ავღანეთში საბრძოლო მოქმედებების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლმა იკლო. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. ავღანეთში, გაერო-ს დახმარების მისიის მონაცემებით, 2012 წელს 2 754 მშვიდობიანი ავღანელი მოქალაქე დაიღუპა, რაც 12%-ით ნაკლებია 2011 წელთან შედარებით, 4 805 კი დაშავდა, რაც ოდნავ მეტია.

მოხსენების თანახმად, 2012 წელს სამთავრობო ჯარების შეტევების შედეგად დაიღუპა 316 და დაშავდა 271 მშვიდობიანი მოქალაქე, რაც 46%-ით ნაკლებია 2011 წელთან შედარებით. საერთაშორისო სამხედროების საბრძოლო მოქმედებების შედეგად კი დაიღუპა 126 და დაშავდა 78 მშვიდობიანი მოქალაქე, რაც 42%-ით ნაკლებია 2011 წელთან შედარებით.

მოხსენების თანახმად, მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის შემცირება ქვეყანაში საბრძოლო მოქმედებების, ტერორისტული აქტებისა და საჰაერო ოპერაციების შემცირებამ გამოიწვია.

თუმცა, ამავდროულად, გაერო სინანულს გამოთქვამს შეიარაღებული ჯგუფების გააქტიურებაზე, განსაკუთრებით ავღანეთის ჩრდილოეთში.

მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ ავღანეთის მოქალაქეები სამხედროების მხრიდან განათლების, ჯანმრთელობის, სამართლებრივი და თავისუფლად გადაადგილების საკითხში მათი უფლებების შელახვას აწყდებიან.



2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ავღანეთში თავშესაფარი ჰპოვა ოსამა ბინ ლადენმა, რომელიც აშშ-ს მიერ დადანაშაულებული იყო ამ და სხვა ტერაქტების ორგანიზებაში. ავღანეთის ე.წ. ჩრდილოეთის ალიანსის ოპოზიციურმა ძალებმა აშშ-სა და მისი მოკავშირეების სამხედრო მხარდაჭერით დაამხეს „თალიბანის“ რეჟიმი. 2001 წლის ბოლოს – შეიქმნა ჰამიდ კარზაის დროებითი მთავრობა. 2004 წელს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში ადგილობრივ საველე მეთაურთა წინააღმდეგობების ბოლომდე დაძლევა.

# სად არის იაფი საწვავი?

**შორენა გონგლაძე**

გუშინ დილიდან გავრცელდა ინფორმაცია სახელმწიფო კანცელარიასთან შეკრებილი დევნილების დარბევასთან დაკავშირებით. სააგენტოების ინფორმაციით, იქ შეკრებილი დევნილები და სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და თავშესაფარს ითხოვდნენ, საპატრულო პოლიციამ შენობიდან პანღურებით გამოყარა. ივანიშვილის რეზიდენციისკენ წასულებს კი პოლიციამ გზა გადაუკეტა და გადაადგილების საშუალება არ მისცა. ეს ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში ხმათა უმრავლესობით მოსული ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ეპოპეა ჯერ მხოლოდ სამი თვის დაწყებულია.

სულ ცოტა ხნის წინ კი, ოცნების ლიდერის მიერ დაწყებული სამუშაოების ანგარიში სიმბოლურად ივანიშვილის 100 დღედ მოინათლა. მინდა, ივანიშვილის მსგავსად, გავიხსენო სააკაშვილის მმართველობის პირველი ასი დღე. მართალია სააკაშვილმა, ისევე, როგორც ბიძინა ივანიშვილმა, თავისი მოღვაწეობა დაჭერებით დაიწყო, სააკაშვილმა ამ დაჭერებს კორუფციასთან ბრძოლა დაარქვა, ივანიშვილმა კი სამართლიანობის აღდგენა, თუმცა ვიცით, რომ პირველ შემთხვევაში შერჩეული სახელი მხოლოდ ნიღბის ფუნქციას ასრულებდა, რაც შეეხება მეორე შემთხვევას, ალბათ მსგავსება პირველთანაც საკმაოდ ბევრი მოიძებნება, თუმცა ეს უკვე მომავლის საქმეა.

ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში 100 დღის მოსული სააკაშვილის კანცელარიას დემოკრატიის იმიჯის გამყარებისთვის ღობე შემოხსნილი ჰქონდა და ძაღლი და მამაძაღლი კანცელარიის ტერიტორიაზე თავისუფლად დასეირნობდა, ახალი ხელისუფლების შემთხვევაში კი საქმე სულ სხვაგვარადაა, კანცელარიასთან მოწყალების სათხოვნელად მისული ხალხის დარბევის გარდა, კანცელარიის სანიმუშო მუშაკები ხელფას-პრემიების გამოწერით არიან დაკავებული. წინა თვეში კანცელარიის თანამშრომლებმა საკუთარი ჯიბეები სამჯერ გამოწერილი პრემიებით გაახარეს. იმედია, ამ დიდ და საკმაოდ შრომატევად საქმეში მომავალ თვეებში წინსვლა ექნებათ.

არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო და ახალ ხელისუფლებას მეხსიერების გაუარესება, ან თუნდაც ამნეზიის დიაგნოზი დავუსვა, მაგრამ სიმპტომები უკვე სახეზეა. არ დავიწყებ წინასაარჩევნო დაპირებების გახსენებას, არ მინდა რამე გამომრჩეს, ჯობია, ეს თავად გააკეთონ. რა ხდება ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ასი დღის შემდეგ? ხდება ის, რომ რეინკარნირებულმა, ერთ დროს პოლიტიკურმა გვამებმა (რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება), როგორ ჩანს, ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეს პასუხისმგებლობა, რაც საკუთარ თავზე აიღეს.

„მიეცით ხალხს პური და სანახაობა“ – ამ გამოთქმას ძველ რომში უდიდესი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. მსოფლიო პოლიტიკაში ეს ფრაზა დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას, საქართველოს შემთხვევაში კი სიტყვა „პური“ ამოღებულია და მშიერი ხალხის საკვებად მხოლოდ სანახაობაა დარჩენილი. ხალხს დღემდე თანამდებობებს მოწყურებული და სიხარულისგან ჯერ კიდევ ტრანსში მყოფი ადამიანების ყურება უწევთ. კოლიზეუმის ნაცვლად, დღეს ხალხი საკუთარ სახლებში, ტელეეკრანებს მიშტერებულები ირთობენ თავს და ცოტა ხნით მაინც ავიწყდებათ ავი ყოფა, რომელშიც აგერ უკვე ოც წელზე მეტია იმყოფებიან. მაგალითად, ვერთობით ახლად გამომცხვარი, ბედის უკუღმართობით გაპოლიტიკოსებული სპორტსმენების ყურებით, რომელთა ინტელექტი და გონებრივი შესაძლებლობები მუშტების ქნევას ვერა და ვერ გასცდა. ვერთობით, თუ როგორ დგამენ შოუებს ქუჩაში კისერში ჰალსტუხგამოჭერილი „ინტელექტუალები“ და შემდეგ ვხედავთ ნაცემი ნაციონალი ჩიტი-გვრიტების ორკვირიან ლოგინობის ხანას; ვხედავთ, როგორ იქცა ტატამად ტელევიზიები და სრულიად საქართველო. როგორ მიდის ხალხის რჩეული ივანიშვილი სომხეთში და როგორ არიგებს ლამაზლამაზ დაპირებებს სომხებთან სადავო ეკლესიების საკითხის გადაწყვეტაზე (რაც სააკაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში ასე აქტიურად არ დამდგარა); ვხედავთ სომხეთში ივანიშვილის ვიზიტის შედეგსაც, სომხეთში გაიხსნება დიდი სავაჭრო ცენტრი „კარფური“, რომლის მეწილეც ასევე პირველი მეოცნებეა. ვხედავთ, თუ როგორ, რა შედეგით მთავრდება ივანიშვილის ვიზიტი თურქეთში. სხვა ბევრ „სიკეთესთან“ ერთად, ბათუმში აშენდება მეჩეთი, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტი დააფინანსებს. ეს იმ დროს, როცა მშიერ-ტიტველი, უსახლკარობით გაწამებული ხალხი, წყალობის მოლოდინში კანცელარიასთან მიდის და პასუხად წიხლებს და დუბინკებს იღებს. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ათასობით სოციალურად დაუცველი დახმარების გარეშე რჩება; ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როდესაც ივანიშვილი საკუთარი კაპიტალის გამყარებას უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში შეეცდება. სომხეთამდე „კარფურში“ გასეირნების ფუფუნება გლდანელებს ექნებათ. ახმეტელის მეტროს ტერიტორიაზე დაწყებული მშენებლობის გამო, გადაიკეთა მეტროს მთავარი ამოსასვლელი, მეტროში შესვლა მხოლოდ ვიწრო მიწისქვეშა გადასასვლელითაა შესაძლებელი. არ არის არანაირი უსაფრთხოების ნორმები დაცული. უკვე მშენებლობისთვის გამზადებულ საძირკველში კარგად ჩანს მეტროპოლიტენის მიწისქვეშა საყრდენი ბეტონის კედლები, რამდენად არის დაცული ამ შემთხვევაში მეტროპოლიტენის უსაფრთხოება, ამის თქმა მხოლოდ სპეციალისტებს შეუძლიათ. თუმცა საფრთხე თვალნათლივ ჩანს და ამას დიდი ექსპერტობა ნამდვილად არ სჭირდება. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და აქვე გავიხსენო ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ბიზნესმენებთან, რომელიც არჩევნებიდან სულ მალე შედგა და იმ შეხვედრაზე ივანიშვილსა და ავერსის გენერალურ დირექტორს, პაატა კურტანიძეს შორის მომხდარი კამათი. ივანიშვილი იმ დროს ამტკიცებდა, რომ მედიკამენტების ფასი ხელოვნურადაა გაზრდილი და ამ საქმეს აუცილებლად მივხედავო. ივანიშვილმა ერთ-ერთ გამოსვლაში ისიც გაიხსენა, თუ როგორ ცდილობდა იაფი მედიკამენტების შემოტანას და როგორ ხელოვნური ბარიერები შეუქმნეს მას. საინტერესოა, რატომ გაუქრა ივანიშვილს მედიკამენტების გაიაფების სურვილი მაშინ, როცა კომპანია „ფარმადეპოში“, რომელიც ასევე მის სახელს უკავშირდება, მედიკამენტების ფასი აბსოლუტურად იდენტურია სხვა კომპანიის სააფთიაქო ქსელში არსებულ ფასებთან. საინტერესოა, რატომ აღარ აქვს სურვილი ახალ ხელისუფლებას, გააიაფოს საწვავი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ნავთობპროდუქტების სექტორი ერთ-ერთი და ალბათ ერთადერთი გამჭვირვალე სექტორია საქართველოში არსებულ ბიზნესებს შორის, რომ კომპანიები 5-7 თეთრიანი მოგების მარჟაზე მუშაობენ და საწვავის გაიაფება მხოლოდ საერთაშორისო სავაჭრო ბირჟებზე ფასების ვარდნის შემთხვევაშია შესაძლებელი. კარგად გვახსოვს წინასაარჩევნოდ საწვავთან დაკავშირებით მაშინდელი ოპოზიციის მხრიდან გაკეთებული განცხადებები, როცა საწვავის რეალური ფასი ლამის ერთ ლარზე დაბლა ჩამოიყვანეს. ეს, რა თქმა უნდა, პოპულისტური და პუბლიკაზე გათვლილი განცხადებები იყო, მაგრამ ამავე დროს ივანიშვილისა და მისი გუნდის ერთ-ერთი დაპირებაც. აბა, ბატონებო, სად არის იაფი საწვავი?

## სამგლოვიარო განცხადებები

მიხეილ რჩეულიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების ინსტიტუტის თანამშრომლები და ახლო მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

**ანზორ მუშკუდიანი**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 20 თებერვალი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 17.00 „გურმანია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დ. პაიჭაძესთან„ 23.00 „წართული დოკუმენტალისტიკა„ 23.40 ფეხბურთი.ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: გალათასარაი — შალკე (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 01.50 მხ/ფ „გაიქეცი მსუქანო, გაიქეცი„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ.„მაფიის ქვრივი„3 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ.„დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „დევნილი„ (ბ.დელ ტორო) 23.50 სერ. „ღვინის გზა„ 00.40 მხ/ფ „დაუმარცხებელი„ (ჯ.უილიამსი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) 23.40 ჩემპიონთა ლიგა 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.30, 05.00 მხ/ფ. 04.30 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა„ 07.25 მოკ/ფ „ფეოლა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად.8 11.05 დოკ/ფ „უჯარმის პატარა სახლი„ რ. ინანიშვილი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ნუნუ გაბუნია 14.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „მიუსაფარი„ 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „განგაში„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.50 დოკ/ფ „წმინდა მეფე სოლომონ II„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „მეფე და ბერი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ვერდიქტი„

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 01.40 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 22.20, 2.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


20 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6556

ევრო — 2,2102

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5610

100 რუსული რუბლი — 5,4957

## ამინდის პროგნოზი 20 თებერვლისთვის





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება **პირველი და მეორე ტომები**

1 მარტიდან **მესამე ტომი**

5 მარტიდან **მეოთხე ტომი**

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55


## ასტროპროგნოზი 20 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **კურო** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს. **სასწორი** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, შეხვედრაზე მიდიხართ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** – სახლში ძვირფას ნივთს შეიძენთ. **თხის რქა** – ნუ დაივიწყებთ წარსულს, მაგრამ აწყმო ისეთად მიიღეთ, როგორიც არის. **მერწყული** – ფული გაქვთ, შენაძენი მოგეწონებათ. **თევზები** – ცხოვრება გეცვლებათ, დიდი პერსპექტივა გადაგეშლებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. სანადირო თოფების მწარმოებელი ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 5. ქართული ხალხური ზღაპარი; 6. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 7. აეროპორტი სტოკჰოლმში; 11. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 13. შტატი აშშ-ში; 14. ბუდისტთა მღვდელი იაპონიასა და ჩინეთში; 15. ბატონის, მემამულის ქონების მმართველი ძველად; 16. პურეული მცენარე; 17. დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 19. ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია; 20. ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტსახელი.

**თარაზულად**: 1. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 4. მოძრავი სცენა თეატრში; 8. მემკვიდრეობითი ტიტული ბრიტანეთში; 9. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 10. ტბა სომხეთში; 12. მსხვილი, მოკლე სოსისი; 14. ირლანდიურ როკ-ჯგუფ „იუთუ“-ს ლიდერი; 15. ტბა ჯავახეთში; 16. მტრედის ბარტყი; 18. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. მდინარე ევროპაში; 22. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 23. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# ევროვიზიისთვის კლიპი გადაღებულია



წლევანდელ ევროვიზიაში საქართველოს სახელით მონაწილეობას სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი მიიღებენ. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პირველად გამოიყენა უფლება და სასურველი კონკურსანტები ყოველგვარი შიდაშესარჩევი კონკურსის გარეშე დაასახელა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაწყვეტილებით, სიმღერის ავტორად კვლავ უცხოელი კომპოზიტორი შეირჩა, შვედმა კომპოზიტორმა ტომას ჯეისონმა შექმნა სიმღერა „ვოთურფულ“, რომელზეც ავტორმა მომღერლებთან ერთად ერთი თვე იმუშავა. სიმღერის მასტერინგი და არანჟირება შვედეთში გაკეთდა, ხოლო მისი ჩაწერა თბილისში მერაბ სანოძის „სანო სტუდიაში“ გადაწყდა. შვედი კომპოზიტორის ტომას ჯეი სონის სახელთან არის დაკავშირებული ევროვიზიის ყველაზე გამორჩეული ჰიტები, მათ შო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# მესუთ იოზილი მენდი კაპრისტოს გვერდით შენიშნეს

**მადრიდის „რეალისა“ და გერმანიის ნაკრების 24 წლის ვარსკვლავმა მესუთ იოზილმა საკმაოდ საინტერესო და ვრცელი ინტერვიუ მისცა გერმანელ ჟურნალისტებს, რომელსაც უცვლელად შემოგთავაზებთ.**

*– ჰერ იოზილ, ამასწინათ გამოქვეყნდა სურათები, სადაც ჩანს, რომ მომღერალ მენდი კაპრისტოსთან ერთად ხართ გადაღებული და როგორც გამოჩნდა, არცთუ შორი ურთიერთობა გაკავშირებთ. შეყვარებული ხომ არ ხართ?*



– დაგიდასტურებთ, რომ ეს არ არის ფოტო-მონტაჟი და ეს მართლაც გადაღებულია. სხვას ვერაფერს გეტყვით და იმედია, სწორად გამიგებთ.

*– ეგრე იყოს! მოდი, ახლა ფეხბურთზე დავიწყოთ: მომავალი სეზონიდან „ბაიერნს“ ხოსეპ გვარდიოლა გაწვრთნის.*

– პეპს პირადად არ ვიცნობ, მას მხოლოდ „ბარსელონასთან“ გამართულ „კლასიკოებზე“ ვხვდებოდი ხოლმე, მაგრამ რაკი 4 წელიწადში 14 ტიტული მოიგო, მიგვითითებს იმაზე, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. ასე რომ, „ბაიერნი“ და გვარდიოლა არჩევნებში არ შემცდარან და დანარჩენს უკვე მხოლოდ დრო გვანახებს.

*– თქვენ თქვით, რომ ერთ-ერთი საუკეთესოაო. აბა, ვინ არის საუკეთესო?*

– ჟოზე მოურინიო!

*– არადა, ესპანური პრესა ყოველდღე წერს, რომ მოურინიოს „რეალის“ ფეხბურთელებთან პრობლემები აქვს და გუნდში ისე რაღაც ვერ არის.*

– კი, გაზეთებს მეც ვკითხულობ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჟურნალისტებმა არ იციან, სინამდვილეში რა ხდება შიდა სამზარეულოში – თანაც, პრესის წარმომადგენლებს გადაჭარბებაც უყვართ. სხვათა შორის, გასახდელში მუდამ ვიცინით ხოლმე იმაზე, რაც პრესაში იწერება, მაგრამ მოურინიოს დიდ პატივს ვცემთ.

*– როცა ჟოზე მილანის „ინტერს“ ტოვებდა, ფეხბურთელები გვარიანი ემოციებით გამოემშვიდობნენ და მარკო მატერაციმ ისიც კი თქვა, მოუ ჩემი მეორე მამაო. იგივეს ფიქრობთ თქვენც?*

– თავისთავად! ჟოზეს ფეხბურთელებისადმი ძალიან მაგარი, მკაცრი და სამართლიანი მიდგომა აქვს, მე კი ვიცი, რომ ნამდვილად მენდობა და მუდამ ვცდილობ, მისი ეს ნდობა სრულებით გავამართლო. თქვენ წარმოიდგინეთ და, ჟოზე სანამ „რეალში“ გადმოვიდოდა, მანამდე ვოცნებობდი მისი მწვრთნელობის ქვეშ მემუშავა და ახლა, როცა სამი წელია მასთან ვვარჯიშობ, თამამად ვიტყვი: ბედნიერი ვარ!

*– თავიდან ბევრს არ სჯეროდა, რომ თქვენ „რეალის“ ძირითადი შემადგენლობის წევრად იქცეოდით, მაგრამ თქვენ ეს შეძელით.*

– დიახ და ამით ვამაყობ კიდეც! მოუმ იცის, რა შემიძლია და ისიც იცის, რომ ყოველთვის ბოლომდე დავიხარჯები. მისგან კი პირდაპირულობა და კონკრეტიკა ძალიან მომწონს – ის ხშირად მესაუბრება.

*– მოუსთან რა ენაზე საუბრობთ?*

– საერთოდ, დავალებებს ესპანურ ენაზე იძლევა, მაგრამ რაკი ეს ენა კარგად არ ვიცი, ზოგჯერ ინგლისურად მიმეორებს ხოლმე და თუ იმასაც ვერ გავიგებ, ამისთვის მისი ასისტენტია, რომელიც გერმანულად გამაგებინებს ყველაფერს.

გაგრძელება მე-9 გვერდზე